გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 45
(11 807)

8 – 10 ივნისი, 2004 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ვის ინტერესებში შედის ქაოსი სპორტში?

რედაქციაში, ბოლო ხანებში, არ წყდება სატელეფონო ზარები ჩვენი ქვეყნის ცალკეული ქალაქებიდან და რაიონებიდან („ლელოს“ ტელეფონები გაზეთის ბოლო გვერდზეა გამოქვეყნებული და შეუფერხებლად მუშაობს). რა არის ამგვარად შეხმატკბილებული და, ასე ვთქვათ, სინქრონული ზარების მიზეზი? ვიტყვით პირდაპირ, – გაურკვევლობა! ადგილობრივი მმართველობის ორგანოები აგერ უკვე 13 წელიწადია სად რას და სად რას (ხან რას და ხან რას) დაანათლებენ სპორტის ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოს. სხვა საკითხია, რომელი სახელწოდება უფრო წაადგა საქმეს (თუმცა, საქმეა საქმე და არა სახელი). მაგრამ, შევეშვათ წარსულს, რაც იყო, იყო. ახლანდელმა ვითარებამ მთლად დააბნია ქართული სპორტის მართვის საშუალო რგოლი. გაურკვეველია სტატუსი, საშტატო ერთეულების რაოდენობა, ხელფასი და ა.შ. საჭიროა, ალბათ, ერთნაირი მიდგომა, რაც გააიოლებს მართვის საერთო სისტემაში ფუნქციურ მოვალეობათა სრულყოფას, განამტკიცებს საშუალო რგოლის კავშირს, როგორც ზემდგომ ხელმძღვანელ, ისე საშუალოზე დაბალი რგოლის სტრუქტურებთან. აი, რა არის მთავარი. მერედა, რა კეთდება საამისოდ? ალბათ არაფერი, ან თითქმის არაფერი. ვფიქრობთ, დროა სახელმწიფო დონეზე, „სპორტის შესახებ კანონის“ პრინციპების დაცვით შემუშავდეს ქართული სპორტის მართვის ერთიანი სისტემა თავისი საშტატო განრიგით, როგორც ავტონომიური, ისე რეგიონული, საქალაქო და რაიონული სტრუქტურებისთვის. თუ ასე არ ხდება, გასაქანი ეძლევა თვითშემოქმედებას, ინერგება უპასუხისმგებლობა, სუსტდება, ან საერთოდ, ქრება მომთხოვნელობა, კაცმა არ იცის, ვინ ვის წინაშეა ანგარიშვალდებული. ჩვენს სპორტულ მოძრაობაში ვერტიკალური და ჰორიზონტალური მმართველობის სისტემა ათწლეულობითაა აპრობირებული და თუკი ყველაფერი მაინც შედეგით ფასდება, გადავხედოთ რა შედეგები გვქონდა, როცა ეს სისტემა გამართულად მუშაობდა და რა მივიღეთ ბოლო 12-13 წელიწადში. მართლა ყველაფერს ხომ არ უნდა გადაესვას ხაზი, თუკი წინ ახალი და უკეთესი რამ არ გვიდევს?

ამასთან, დაბეჯითებით ვრცელდება ხმები, რომ იწყება სპორტულ ორგანიზაციებში შტატების უმოწყალო შემცირება. თანაც ისე, რომ არავინ არაფრად დაგიდევს კანონს, ივიწყებენ, რომ პროფკავშირები ისევ არსებობს ამ ქვეყნად და მათთან შეუთანხმებლად, გადაწყვეტილებების მიღების უფლება არავის აქვს.

„ლელო“ მზადაა ყველას მოუსმინოს, მოგვწერეთ, დაგვირეკეთ, გვაცნობეთ ყოველგვარი დარღვევების შესახებ. ერთად ვიბრძოლოთ კანონიერების დასაცავად და ქართული სპორტის საკეთილდღეოდ!

# 6 სპორტსმენს 15 მედალი
## სადაური ამბავია? სადაური და აქაური!

საზღვარი ყველაფერს აქვს, ადრე თუ გვიან გაოცებაც ჩვეულებრივ ამბად იქცევა ხოლმე. ჩვენმა მოზარდმა წყალმხტომელებმა, აქამდე წარმატებებით რომ გვაოცებდნენ და შეგვაჩვიეს კიდეც, უკვე ფანტასტიკის სფეროში გადაგვანაცვლეს. ფანტასტიკაა აბა რა, ერთ შეჯიბრებაში, რომ 6 სპორტსმენი 15 მედალს მოიპოვებს, თანაც აქედან ოქროსი უფრო მეტია, ვიდრე ვერცხლისა და ბრინჯაოსი. დიახ, ჩვენმა წყალმხტომელებმა ჰოლანდიაში, ამსტერდამის დიდ საერთაშორისო ტურნირში ოქროს — 8, ვერცხლის — 6 და ბრინჯაოს — 1 მედალი დაისაკუთრეს. სასწაულის შემოქმედნი კი მამა-შვილი ალექსანდრე და ირაკლი ბართაიები არიან. მათი შეგირდები უკვე რამდენიმე წელია, მიუხედავად მძიმე სავარჯიშო პირობებისა, შთამბეჭდავ წარმატებებს აღწევენ საერთაშორისო სარბიელზე. ამჯერად პირობები შედარებით გაუმჯობესდა და... შეუდარებლად ამაღლდა შედეგები.



სინქრონული წყალხტომა ურთულესი რამაა და განსაკუთრებით სწორედ აქ გააკვირვა უცხოელი სპეციალისტები საქართველოს ჭაბუკთა დუეტმა — ჭოლა ჭანტურიამ და გიორგი გერქიანმა. საერთოდ, ძნელი წარმოსადგენია ამ პროგრამაში უზადოდ ასპარეზობა, მაგრამ ეს ჩვენებმა შეძლეს, თანაც თავიანთზე შეუდარებლად გამოცდილ და ასაკით უფროს მეტოქეებთან.

დროა დავაკონკრეტოთ მედლები: ჭოლა ჭანტურიამ „ოქრო“ დაიმსახურა 3-მეტრიან ტრამპლინიდან, 7-მეტრიან კოშკურიდან და სინქრონულ ხტომებში, მეორე იყო 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ასპარეზობაში; გერქიანს სინქრონული ხტომის გარდა, პირველობა წილად ხვდა 1-მეტრიან ტრამპლინზე, ხოლო 7-მეტრიან კოშკურიდან ხტომაში მესამე იყო. 13 წლის შოთა კოროხაშვილი ვერცხლის სამ მედალს დაეუფლა — 1 და 3-მეტრიან ტრამპლინიდან და 5-მეტრიან კოშკურიდან ხტომაში. გოგონებიდან სოფიკო ხუციშვილმა 1-მეტრიან ტრამპლინზე ყველას აჯობა, 3-მეტრიანზე კი მესამე ადგილს დასჯერდა. სალომე ჯულელის გამარჯვებით დასრულდა ხტომა 5-მეტრიან კოშკურიდან, 1-მეტრიან ტრამპლინიდან კი მეორე პრიზიორი გახდა.

„ტურნირში მონაწილეობდა 22 კლუბი, რაც თავისთავად მეტყველებს ასპარეზობის ავტორიტეტზე. ჩვენი წყალმხტომელები გამოდიოდნენ კლუბ „თბილისის“ სახელით. ის, რომ საქართველოს ექვსმა სპორსტმენმა 15 მედალი მოიპოვა, ყველასთვის მართლაც გამაოგნებელი იყო. მედლებით ყველას ვაჯობეთ, მაგრამ მასპინძლებმა ქულები დაითვალეს, რათა პირველობა და მთავარი პრიზი არ დაეთმოთ“ — გვითხრა ალექსანდრე ბართაიამ.

დავსძენთ, რომ საქართველოს ნაკრები თავის მწვრთნელებთან ერთად, თანაბრად დააფინანსეს თბილისის მერიასთან არსებულმა ოლიმპიურმა ცენტრმა (დირექტორი გიორგი უდესიანი) და ამავე ორგანიზაციის წყალთა სახეობების სპორტულმა სკოლამ (დირექტორი გივი ცქიტიშვილი). „ლაგუნა — ვერემ“ სავარჯიშო პირობების კიდევ უფრო გაუმჯობესება დაიწყო (ეს ტრამპლინებს და კოშკურასაც ეხება), ასე რომ, წარმატებები, აწი ნახეთ!

თ. თომაშვილი.

# ვიდრე ყველაფერი ჩვენ დაგვბრალდება...

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სპეციალისტებთან ამ სფეროში პრობლემების გადაჭრის გზების ძიებისთვის გამიზნულ შეხვედრაზე, რომელიც ახლახან გაიმართა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ მიხეილ მინდაძემ განაცხადა, რომ ფიზიკური აღზრდა და სპორტი რჩება პრიორიტეტად სასწავლო დაწესებულებებში, მაგრამ საჭიროა ახალი მიდგომები, ახალი პროგრამების შემუშავება. ვინ უნდა შეასრულოს ყოველივე ეს? მინისტრის მოადგილემ ამასთან დაკავშირებით ბრძანა, რომ კოორდინაციას თვით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მომუშავე სპეციალისტები გასწევენ, მაგრამ მთავარია ის, თუ ვინ შეასრულებს „შავ სამუშაოს“, ვინ ჩამოაყალიბებს რა არის ახალი თანამედროვე მიდგომა, ვინ დაწერს ახალ პროგრამას და, საერთოდ, ვინ დააკონკრეტებს რა პროგრამაზეა ლაპარაკი? ზოგადი ფრაზები ბოლოს და ბოლოს, ვიღაცამ საქმედ ხომ უნდა აქციოს. თუ უახლოეს პერიოდში არ გამოიკვეთა რა აქვს ჩაფიქრებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, არ მოახდენს მის დაკონკრეტებას და არ გადადგამს მის შესასრულებლად პრაქტიკულ ნაბიჯებს, უნდა ჩავთვალოთ, რომ ახლახან ატეხილ განგაშზე ხსენებულმა სამინისტრომ მოახდინა მეხანძრის რეაგირება და შეეცადა ჩაექრო იგი, ან სულაც, დრო მოეგო...

არ გვინდა ვიფიქროთ, რომ ყველაფერი გათვლილია ქართულ გულარხეინობაზე — ვიღაცა გააკეთებს, ვიღაცა იფიქრებს, ვიღაცა შემოგვთავაზებს, მაგრამ ვინ, ვინ არის ეს ვიღაც? არადა, გამოწვევა სამინისტრომ მიიღო, მიიღო და... აქეთ გადმოგვილოცა პრობლემები, ანუ, დაჯექით, იფიქრეთ, დაწერეთ, იმსჯელეთ და წარმოადგინეთო. იქნებ სამინისტროში ჩინებულად იციან, რომ ამის გამკეთებელი ასე, ხელის მხარზე მოთათუნებით არავინაა. არ არის და ნუ იქნება. ყველაფერი საკუთარ თავს დააბრალეთო, გვეტყვიან მერე, ბოლოს.

ჰოდა, ნუ მივიყვანთ საქმეს ასეთ დაბოლოებამდე. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მომუშავე სპეციალისტებმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყონ მინისტრის მოადგილის მიერ გაცხადებული სამინისტროს პოზიციის პრაქტიკული რეალიზება, თორემ, გვერწმუნეთ, ბოლოს მართლა ყველაფერი ისე დასრულდება, რისთვისაც ამდენი ხმაური ატყდა — სასკოლო ფიზიკური აღზრდა, ბავშვთა სპორტი გამოცხადდება კანონგარეშე, ხოლო თუ ვის დაბრალდება ეს, უკვე ვთქვით.

მაშ ვიმოქმედოთ...

# რჩეულებში „ყოჩები“ და „ლოკომოტივი“ ლიდერობს



რაგბში საქართველოს თასის გათამაშების მეორე ტურის მატჩებიდან პირველ ექვსეულში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ლიდერების „ლელო“ — „ლოკომოტივის“ მატჩი. პირველ ტურში ორივემ გაიმარჯვა, — ორივე აუტსაიდერებს შეხვდა. ასე რომ, მეორე ტურს უნდა გამოევლინა რეალური ლიდერი. რკინიგზელებმა მინიმალური ანგარიშით 33:31 შეძლეს ლელოელების ძლევა და „ყოჩებთან“ ერთად სათავეში ჩაუდგნენ რჩეულ ექვსეულს. „ყოჩებმა“ ადვილად მოუგეს „დათვებს“ — 18:3, აკადემიელებმა ერთ-ერთ აუტსაიდერს „აიას“ აჯობა — 24:15.

ორი ტურის შემდეგ „ლოკომოტივს“ და „ყოჩებს“ 4-4 ქულა აქვთ, „ლელოს“ და „აკადემიას — 2-2, „აიას“ და „დათვებს“ ჯერ ქულა არ მოუპოვებიათ.

ჯგუფში, სადაც გუნდები დამსახურების მიხედვით VII-X ადგილებს გაინაწილებენ, „ხულიგანამ“ დიდი ანგარიშით მოუგო „აკადემია-2“-ს — 63:5, თსუმ — „დათვები-2“-ს — 62:12. თსუ-ს ახლა 6 ქულა აქვს „ხულიგანას“ და „დათვები —2“-ს — ორ-ორი, აკადემია ჯერჯერობით უქულოდაა.

XI — XIV ადგილებისთვის: „ყოჩები 2“ — არმაზი — 8:47. ჩვენს ჩემპიონატში მონაწილე ბაქოს გუნდისა და „დინამოს“ მატჩი გადაიდო.

# მილოცვა



საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს ღვაწლმოსილ სპორტულ მუშაკს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოლიმპიური რეზერვების მძლეოსნობის სპორტული სკოლის დირექტორს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს **მიხეილ ოდიშარიას.**

X X X

„ლელოს“ რედაქცია უერთდება ამ მილოცვას.

# საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდიუმის მიმართვა მოძმე ოს ხალხს და მის ლიდერს ბატონ ედვარდ კოკოითს

**ბატონო ედვარდ!**

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია, მისი პრეზიდიუმი, ვეტერანი და მოქმედი მოჭიდავეები მოგესალმებით და გისურვებთ ჯანმრთელობას, წყნარ და მშვიდ ცხოვრებას.

ცნობილი ფაქტია, რომ ერთი სისხლისა და ხორცის, ერთი მიწა წყლისა და ერთი ცის ქვეშ დაბადებული ორი მოძმე ქართველი და ოსი ხალხი საუკუნეების ქარტეხილებსა და თავდასხმების ქარცეცხლში ერთ მუშტად შეკრულნი ებრძოდნენ ათასი ჯურის მომხდურთ, რათა არ დაეკარგათ დამოუკიდებლობა, თავისუფლება და ერთიანობა. შორს წაგვიყვანდა იმ ბრწყინვალე საბრძოლო ეპოპეათა ჩამოთვლა, რომლებიც ოქროს ასოებითაა ჩაწერილი ამ ორი ხალხის თანაარსებობისა თანაცხოვრების ისტორიაში.

ქართველი და ოსი ხალხი ჭირსაც და ლხინსაც ერთად ხვდებოდა. დღესაც მრავალი შერეული ოჯახი ჰარმონიულად აგრძელებს ცხოვრებას. განსაკუთრებით დიდი მეგობრობა აკავშირებს ოს და ქართველ მოჭიდავეებს, რომლებიც წლების განმავლობაში ერთად იცავდნენ საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სპორტულ ღირსებას. ვის არ ახსოვს ანდრეი ცხოვრებოვისა და გურამ საღარაძის, ვახტანგ ბალავაძის და ალიბეგ ბესტაევის, სერგო გაბარაევის და დავით ციმაკურიძის, ლერი ხაბელოვის და დავით გობეჯიშვილის ძმური ურთიერთობები როგორც პირად ცოვრებაში, ისე საჭიდაო ხალიჩაზე. ამ მდიდარ ტრადიციებს დღესაც არ ღალატობენ ოსი და ქართველი მოქმედი სპორტსმენები. ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, ბატონი ლერი ხაბელოვი საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილეა და მრავალ სასიკეთო და სასარგებლო საქმეს აკეთებს.

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის, ბატონი გოჩა ძასოხოვის ფედერაციაში მოსვლის დღიდან, ძირფესვიანად შეიცვალა მუშაობის სტილი და შედეგმაც არ დააყოვნა — საქართველოს ნაკრები გუნდები, როგორც თავისუფალ, ისე ბერძნულ-რომულ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ. ასეთი ურთიერთობა ქართველ და ოს ხალხებს შორის ჩატეხილი ხიდის გამთლიანების საწინდარია.

ჩვენო დებო და ძმებო! დავივიწყოთ ის წყენა, რაც გაუგებრობამ მოგვიტანა, რამაც დიდი ტკივილი მიაყენა ორივე ერს. ჩვენ უნდა ვიცხოვროთ და ვილვაწოთ ერთმანეთის გვერდით, ასე ინება ღმერთმა, რაც ადრე მოხდება ჩვენი ერთად ყოფნა, მით უფრო მალე ავაშენებთ ერთიან, დამოუკიდებელ და ცივილიზებულ ქვეყანას.



ტოკიო. 1953 წ. მარცხნიდან – ნიკო მუზაშვილი, სერგო გაბარაევი და ვახტანგ ბალავაძე

ბატონო ედვარდ! ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმი განსაკუთრებულად მოგმართავთ თქვენ, როგორც ოსი ხალხის ლიდერს და ვეტერან მოჭიდავეს, რათა კვლავ აღვადგინოთ ის ტრადიციები, რომლებიც გააჩნდათ ოს და ქართველ ხალხს, ასევე სახელოვან მოჭიდავეებს და რაც საუკუნეებია გრძელდება. ეს კი საწინდარი იქნება ორი მოძმე ერის მეგობრობის განმტკიცებისა. გვჯერა ოსი ხალხის სიბრძნისა, გვჯერა პირადად თქვენი, ბატონო ედვარდ, გვჯერა გაიმარჯვებს საღი აზრი და კვლავაც ერთად ჰარმონიულად ვიცხოვრებთ.

*პატივისცემით, გოჩა ძასოხოვი – ფედერაციის პრეზიდენტი, დავით ციმაკურიძე – ოლიმპიური ჩემპიონი, ვახტანგ ბალავაძე – მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, გიორგი სხირტლაძე – მსოფლიოს ჩემპიონი, გურამ საღარაძე – მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ზარბეგ ბერიშვილი – მსოფლიოს ჩემპიონი, რომან რურუა – ოლიმპიური ჩემპიონი, ლევან თედიაშვილი – ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი, მიხეილ სალაძე – მსოფლიოს ჩემპიონი, ვახტანგ ბლაგიძე – მსოფლიოს ჩემპიონი, ელდარ კურტანიძე – მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, თემურ ყაზარაშვილი – მსოფლიოს ჩემპიონი, გივი ყვარელაშვილი – მსოფლიოს თასის მფლობელი, ლერი ხაბელოვი – ოლიმპიური ჩემპიონი, დავით გობეჯიშვილი – ოლიმპიური ჩემპიონი, თემურ აფხაზავა – მსოფლიოს ჩემპიონი, ომზარ შოშიტაშვილი – ფედერაციის გენერალური მდივანი.*

# ვერის პარკში კომერციული ობიექტები აიკრძალება

თბილისში ვერის პარკის რეკონსტრუქცია უახლოეს ხანში დაიწყება. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელის შალვა ბებოშვილის ინფორმაციით, ინკოგნიტო ქველმოქმედმა დედაქალაქს უნდა გადასცეს ნახევარ მილიონამდე ლარი ვერის პარკის განახლებისათვის. ამჟამად მუშაობენ პარკის რეკონსტრუქციის კონცეფციაზე და ცოტა ხანში ამ საქმეში არქიტექტორები ჩაერთვებიან. ვერის პარკს კომერციული ფუნქცია არ ექნება და ამჟამად იქ არსებულ კომერციული დანიშნულების ობიექტებს პარკიდან გაიტანენ. (მედია-ნიუსი)

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

გენერალური სპონსორი

# დრო არ ჩერდება

გაზაფხულის ბოლო თვემ, XV ეროვნულ ჩემპიონატს წერტილი დაუსვა. ექსცესებით აღსავსე სეზონი დამთავრდა, მაგრამ საფეხბურთო ცხოვრება არ შეჩერებულა. ტრანსფერების დრო დადგა და ქართული ფეხბურთის მსვლელები ქომაგებს მომავალ სეზონში ბევრ სიახლეს შესთავაზებენ. ალბათ, საფუძვლიანად შეიცვლება ჩემპიონატის სისტემა, გადახალისდება გუნდების შემადგენლობები. ზოგიერთი ფეხბურთელი საზღვარგარეთს მიაშურებს,

იხ. მე-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

## ზესტაფონი





რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის გია საყვარელიძის ინიციატივით რაიონში ხშირად იმართება სპორტული ღონისძიებები, უყურადღებოდ არც მარტივი სპორტული მოედნები რჩება. ამ დღეებში ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში მწყობრში ჩადგა ნახერხმოყრილი ღია საჭიდაო არენა დასაჯდომებითა და მსაჯთა მაგიდით. ჩატარდა რაიონის ღია პირველობა ქართულ ჭიდაობაში 60-მდე სპორსტმენის მონაწილეობით 4 ასაკობრივ ჯგუფში. ზეიმის მშვენება კი აბსოლუტური კატეგორიის მოჭიდავეთა პაექრობა იყო. ქართული მუსიკის ჰანგზე ფალავნის წოდებისათვის ფიცხელი ბრძოლები გაჩაღდა. ეს საპატიო წოდება მოიპოვა რატი ფერაძემ, რომელმაც, ქართული ტრადიციისამებრ, სამახსოვრო საჩუქართან და სიგელთან ერთად რაიონის ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის მიერ დაწესებული ქედილაც ირგუნა. გამარჯვებულები და პრიზიორები რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა თეიმურაზ ცერცვაძემ დააჯილდოვა.

„ლელოს" საკ. კორ.
ზესტაფონი.

## თბილისი



**საქართველოს მოსწავლეთა პირველობა ფარიკაობაში. ვაკის საფარიკაო დარბაზი. მონაწილეობდნენ: თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის 100-მდე წარმომადგენელი.**

**კვარცხლბეკი. რაპირა.** გოგონები: 1 მადონა ჩაბრაძე (თბ), 2. ზეინაბ ჭელიძე, 3. თინა ბოლქვაძე (ორივე — ბათ) და რუსუდან წირქვაძე (თბ); **ჭაბუკები:** 1. გიორგი გრიგოლია (თბ), 2. გიგა ჭოლაძე (ქუთ), 3. ჯემალ ჯიქია (თბ) და ლაშა ქვრივიშვილი (ქუთ); **ხმალი:** 1. ზურაბ კაკულაშვილი, 2. კახაბერ მაღრაძე, 3. ზურაბ ბახსოლიანი (სამივე — თბ) და ლაშა მიქელაძე (ბათ); **დაშნა: გოგონები:** 1. ალექსანდრა ტოკარევა (ბათ), 2. ქეთინო სილაგაძე (თბ), 3. ხატია თევდორაძე და ლიანა გოგიტაძე (ორივე — ქუთ); **ჭაბუკები:** 1. გიორგი სილაგაძე (თბ), 2. გოგა გაბუნია, 3. გიორგი ნაცვლიშვილი (ორივე — ქუთ), 3. ანატოლი ლუცკო (ბათ).

**გუნდური:** 1. თბილისი — 82 ქულა, 2. ქუთაისი — 59, 3. ბათუმი — 41, რუსთავი — 7.

„ბუმათე"

**სურათზე: რაპირაში გამორჩეული ოთხეული. მარცხნიდან – გიგა ჭოლაძე, გიორგი გრიგოლია, ჯემალ ჯიქია და ლაშა ქვრივიშვილი .**

ფოტო რობერტ ბაგოიანისა.

## შოთა ინწკირველის მემორიალი

**ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა შოთა ინწკირველის მემორიალი მოჭადრაკე გოგონებსა და ბიჭებს შორის ორ ასაკში.**

1995-1996 წლებში დაბადებულ ბიჭებში უძლიერესი იყო გაგა ბერიძე, რომელმაც ცხრა შესაძლებლიდან 8,5 ქულა მოაგროვა. გამარჯვებულს ერთი ქულით ჩამორჩა გიორგი შონია. მესამე ადგილზე 7 ქულით გავიდა შალვა ნადირაშვილი. მოჭადრაკე გოგონებს შორის 6,5 — 6,5 ქულა მოაგროვეს თეკლა მაჭარაშვილმა, ნინო უშიკიშვილმა და ნატო იმნაძემ. უკეთესი კოეფიციენტის წყალობით პირველი ადგილი მაჭარაშვილს ხვდა წილად, ხოლო მეორე — უშიკიშვილს.

1997-1998 წლებში დაბადებულ ბიჭებს შორის გამართულ ტურნირში ცხრა შესაძლებლიდან 8,5 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი ღირსეულად დაიკავა ნიკოლოზ კვირტიამ. 7-7 ქულით მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს ირაკლი ქანთარიამ და ირაკლი ფოფხაძემ. უკეთესი კოეფიციენტის წყალობით მეორე საპრიზო ადგილი ქანთარიას მიაკუთვნეს. გოგონათა შორის ყველაზე მეტი — 5,5 ქულა მოაგროვა ელენე მარადიშვილმა. მეორე ადგილზე ხუთი ქულით გავიდა მარიამ ბენიძე, ხოლო მესამე ადგილი 4,5 ქულით დაიკავა ქეთევან ხომერიკმა.

აქვე გეტყვით, რომ ტურნირის მთავარი მსაჯი იყო ევგენი მელიქსეთბეგი, ხოლო დირექტორი — თამარ ხმიადაშვილი.

## მომავლის იმედით



თვიქნემში (ინგლისი) დასრულდა ირბ-ის შვიდკაცა რაგბის ბოლო მეათე ეტაპი, სადაც საქართველოს ნაკრები „ც" ჯგუფში ასპარეზობდა ახალი ზელანდიის, ავსტრალიისა და პორტუგალიის ნაკრებებთან ერთად. ჯგუფურ ეტაპზე ქართულმა შვიდკაცამ სამივე მატჩი წააგო: ახალი ზელანდიის გუნდთან — 5:43, ავსტრალიელებთან — 0:31 და პორტუგალიელებთან — 5:28, მართალია, შემდგომში, უკვე მეოთხედფინალში საქართველოს ნაკრებმა დაამარცხა იტალიისა (17:12) და ესპანეთის (14:12) ნაკრებები, თუმცა ჯგუფურ ეტაპზე წარუმატებლობის გამო მხოლოდ მეცხრე ადგილისათვის გააგრძელეს ბრძოლა. აქ ქართველი მორაგბეების მეტოქე საფრანგეთის ნაკრები იყო. ჩვენმა გუნდმა ვერც ამჯერად იმარჯვა, — მატჩი 5 ქულის სხვაობით დათმო (14:19) და საბოლოოდ მეათე ადგილი დაიკავა. ჩემპიონი კი საერთო ჩათვლაში ახალი ზელანდიის ნაკრები გახდა.

ახლა საქართველოს ნაკრები ევროპული სერიის ორი ეტაპისათვის ემზადება. ამ შაბათ-კვირას ჯერ თბილისურ ეტაპში ჩაებმებიან, შემდეგ კი კიევს ესტუმრებიან. თუკი ქართველი მორაგბეები დასკვნით ეტაპზე გავლენ და იქ საუკეთესო შვიდეულში მოხვედრას შეძლებენ, ისინი საგაისოდ მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლებას მიიღებენ.

## საიუბილეო გარბენი

საქართველო

GEORGIA

### ქ. თბილისის მძლეოსნური გარბენი, მიძღვნილი საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი, 20 ივნისი, 2004 წელი

**საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი გარბენი ჩვენს ქვეყანაში მეათეჯერ ტარდება. 20 ივნისს, დილის 11 საათზე გარბენის მონაწილეთათვის ორი სტარტი მიეცემა: პირველი – სპორტის აკადემიასთან მოზრდილებისათვის და მეორე – რესპუბლიკის მოედანზე 12 წლის ასაკამდე მოზარდების, ინვალიდებისა და ხანდაზმულებისათვის. ტრადიციულად გარბენის ჩატარებას სპონსორობას უწევს ფირმა „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია" (გენერალური მენეჯერი თემურ ჭყონია).**

**მე-10 საიუბილეო გარბენს ქ. თბილისში ორგანიზაციას გაუწევს ქ. თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახური (უფროსი დავით ოქიტაშვილი) სეოკ-ის თბილისის ორგანიზაციასთან ერთად (თავმჯდომარე ვლადიმერ კანკავა). გარბენის მთავარი მსაჯია ეროვნული კატეგორიის მსაჯი სპორტის აკადემიის მძლეოსნობის კათედრის გამგე მამია ტუღუში.**




## საქართველო ოლიმპიზმის მიჯნაზე

**ეს ჩვენი ისტორიაა**

### ლისაბონი ატლანტასა და ნაგანოს შორის

დამოუკიდებლობის ოფიციალურად მიღებიდან განვლილ 4 წელიწადში, ასე ვთქვათ, ერთ ოლიმპიურ ციკლში, საქართველოს სპორტსმენებმა, როგორც მოზრდილებში, ისე ახალგაზრდებში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით გამართულ ყველა კომპლექსურ ასპარეზობაში მიიღეს მონაწილეობა და შეამოწმეს თავიანთი ძალები, შეიძინეს გარკვეული გამოცდილება. ეს იყო ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეები ვალკენსვაარდში 1993-ის ზამთრის ოლიმპიური თამაშები ლილეჰამერში, 1994 წელს, ზაფხულის ოლიმპიური თამაშები ატლანტაში 1996 წელს და აი, დაიწყო ახალი ოლიმპიური ოთხწლეული, ანუ იგივე სპორტულ ასპარეზობათა ახალი ციკლი.

ამ პერიოდში სხვა მნიშვნელოვანი მოვლენებიც მოხდა. ძირითადად გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ორგანიზაციულ-სტრუქტურულად განმტკიცებისა და ამ გზით საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველსაყოფად. ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხზე ადრე ვწერდით. 1996 წლის ბოლოს კიდევ ერთი სიახლე დამკვიდრდა — სეოკ-მა პირველად გამოავლინა წლის 10 საუკეთესო სპორტსმენი, 1996 წლის განმავლობაში ნაჩვენები შედეგების მიხედვით, ცხადია, სპორტის ოლიმპიურ სახეობებში. №1 სპორტსმენად დასახელდა ელდარ კურტანიძე, რომელიც თავისუფალ ჭიდაობაში იმ წელს, ატლანტაში ოლიმპიური თამაშების პრიზიორი გახდა. ანბანის მიხედვით ჩამოვთვლით 1996 წლის დანარჩენ ლაურეატებსაც: კობა გულიაშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), გიორგი ვაზაგაშვილი (ძიუდო), თამაზ იმნაიშვილი (სასტენდო სროლა), სოსო ლიპარტელიანი (ძიუდო), ბიძინა მიქიაშვილი (ძალოსნობა), გიორგი რევაზიშვილი (ძიუდო), ნინო სალუქვაძე (ტყვიით სროლა), ვლადიმერ სტეფანია (კალათბურთი), დავით ხახალეიშვილი (ძიუდო).

ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიადებს შორის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეების ჩატარება ტრადიციად დამკვიდრდა და ჩვენთვისაც წინა პლანზე 1997 წლის დასაწყისიდანვე განსაკუთრებული აქტიურობით წამოიწია მისი სტარტებისთვის მზადება. ლაპარაკია ლისაბონის ოლიმპიურ დღეებზე, რომელსაც პორტუგალიის დედაქალაქმა 18-24 ივლისს უმასპინძლა.

ამ თავისებურ, უკვე რიგით მეოთხე (ჩვენთვის მესამე) სპორტულ ფესტივალში ევროპის 47 ქვეყნის 1842 ახალგაზრდა სპორტსმენი მონაწილეობდა. საქართველო ამჯერად წარმოდგენილი იყო 36 მონაწილით სპორტის 4 სახეობაში — მძლეოსნობაში, ძიუდოში, ველოსპორტში და ფეხბურთში. სულ კი პროგრამაში შედიოდა სპორტის 10 სახეობა.

ლისაბონში ნამდვილი ფურორი მოახდინეს ჩვენმა ფეხბურთელებმა. საქართველოს სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელმა თამაზ თევზაძემ ჩვენთან საუბარში შინ დაბრუნების შემდეგ აღნიშნა: „ჭაბუკმა ფეხბურთელებმა განსაკუთრებით გვასახელეს და სპორტის ამ სახეობაში ჩვენი ქვეყნის ტრადიციები ბრწყინვალე გამარჯვებით გაამდიდრეს. ჩემპიონობა ადვილად არსად მოიპოვება, მით უფრო, ასეთი დონის ასპარეზობაში. მინდა ყველას გასაგონად ვთქვა: „ვახტანგ კოპალეიშვილმა შესანიშნავი გუნდი შეკრა, საყურადღებოა გუნდის არა მხოლოდ სპორტული მომზადების, არამედ, მისი თითოეული წევრის კულტურის დონე."

ვფიქრობთ, ყველაფერია ნათქვამი. დავძენთ, რომ ქართველ ფეხბურთელთა გუნდის ოქროს მედალმა უფრო აამაღლა ქართული სპორტის ავტორიტეტი ევროპის თვალში, რაღა თქმა უნდა, უპირველესად დიდი ინტერესი გაჩნდა ქართული ფეხბურთისადმი.

უმედლოდ ძიუდოისტები არც ამჯერად დარჩნენ. ვერცხლის ჯილდო დაიმსახურა ჯემალ ნათელაშვილის შეგირდმა, დუშელმა ვანო ნადირაშვილმა (71 კგ), „ბრინჯაო" ხვდათ ხაშურელ გელა ბარათაშვილს (55; მწვრთნელი გელა ბარათაშვილი) და ქუთაისელ გრიგოლ მამრიკიშვილს (65), რომელიც ამ შეჯიბრებისთვის საკუთარმა ბიძამ ტარიელ მამრიკიშვილმა მოამზადა.

მედლების 271 კომპლექტი (ოქროსი — 85, ვერცხლისა — 85, ბრინჯაოსი — 101), 35 ქვეყნის წარმომადგენელთა ნადავლი გახდა. საქართველო თითო ოქრო — ვერცხლისა და ბრინჯაოს ორი მედლით მეორე ადგილზე აღმოჩნდა. კონტინენტის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის კი ჩვენი ქვეყანა, მოპოვებული მედლების რაოდენობით, გავიდა მეოთხე ადგილზე. ვერც ერთი მედალი ვერ დაიმსახურეს აზერბაიჯანის, ლატვიის, ესტონეთის, მოლდოვას სპორტულმა დელეგაციებმა, დანარჩენებიდან კი — მაკედონიის, მალტის, ლიხტენშტეინის, მონაკოს, სან-მარინოს, ბოსნია-ჰერცოგოვინას, ალბანეთის, ანდორას, ლუქსემბურგის წარმომადგენლებმა. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი უკვე სრული მოცულობით იყო ჩართული იმ კომპლექსური სპორტული ასპარეზობებისთვის მზადება-მონაწილეობაში, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით ტარდება.

1998 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლები, იაპონელები, მსოფლიო სპორტულ სამყაროს ჰპირდებოდნენ, რომ ნაგანოში ოლიმპიელებს და სხვა სტუმრებს ზღაპრული მიღებითა და პირობებით იქნებოდნენ უზრუნველყოფილნი.

ზამთრის ერთი ოლიმპიური თამაშების გამოცდილება ჩვენ უკვე გაგვაჩნდა და შეფასების უფლება ჩვენც გვქონდა. თამამად უნდა ითქვას, — ნაგანოში მართლაც ყველაფერი ორგანიზებული იყო ბრწყინვალედ. თუმცა, ამის თქმით, ნორვეგიელთა თავგამოდებას და დამსახურებას სულაც არ გვინდა ჩრდილი მიადგეს. მაგრამ ყოველთვის სასიამოვნოა და არც არავის უნდა გაუკვირდეს თუ წინამორბედზე უკეთ იქნება ორგანიზებული მომდევნო თამაშები. ეს ნორმალურია, ცუდი კი ისაა, როცა პირიქით ხდება, რაც, სამწუხაროდ, ოლიმპიადებზე ჩვენი ჟურნალისტური გამოცდილების პრაქტიკაშიც შეგვხვედრია.

1996 წლის შემოდგომაზე, იმ პერიოდში ქართული სპორტისადმი ქველმოქმედებით უკვე გამორჩეული ბიზნესმენი გოგი თოფაძე საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს. არა, ფედერაციაში უცხო კაცი არ მოსულა, სამთოთხილამურებით ის ყმაწვილობიდან იყო გატაცებული, ძალიან ახლოს იცნობდა სპორტის ზამთრის სახეობებთან დაკავშირებულ ყველა თაობის ადამიანს. ფედერაციის ახალმა თავკაცმა ღირსეულად განაგრძო ამ პოსტზე ასევე ღირსეული წინამორბედის სოლიკო ხაბეიშვილის დაწყებული საქმე. იმავდროულად ნოვატორული მიდგომებით, სრულიად ახლებურად წარმოჩინდა სტრატეგიული ამოცანა და მისი რეალიზების გზები...

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

გაგრძელება იქნება

დასაწყ. „ლელო" №31-39, 41-43.

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №8 (22) ივნისი, 2004 წელი

## ფოთის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი

# „ფოთი 2004“

## საერთაშორისო ტურნირი კარატე-დოში





# 13 ივნისი
# ფოთი 2004



### ტურნირის მონაწილეებო!

მადლობას ვუხდი საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის თითოეულ წევრს. მის ხელმძღვანელობას, პირადად კახა ბასილიას, ქართველი ხალხის სამსახურში მრავალწლიანი უანგარო მოღვაწეობისათვის!

დარწმუნებული ვარ, ეს ჩემპიონატი, როგორც ყოველი მისი წინამორბედი, თვალსაჩინო დასტური იქნება ქართული გენის ვაჟკაცური, საბრძოლო სულისკვეთების გამოვლენისა.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი*

*გიორგი ბარამიძე*

### წარმატებულო კარატისტებო!

მივესალმები ტურნირის მონაწილეებს, ორგანიზატორებს, სტუმრებს და იმედს გამოვთქვამ, რომ ასეთი მაღალი დონის საერთაშორისო ტურნირების ჩატარება საქართველოში ხელს შეუწყობს კარატეს და საერთოდ, მასობრივი სპორტის განვითარებას, რაც, თავისთავად, გულისხმობს ახალგაზრდების სპორტში მოზიდვას და იმ დიდი მოძრაობაში მონაწილეობას, როგორიც არის — სპორტი ყველასათვის! ამგვარი სპორტული ღონისძიებები კარგი საფუძველიაახალგაზრდა სპორტსმენთა დაოსტატებაში, ფედერაციებისა და კლუბებს შორის მჭიდრო კავშირების დამყარებისათვის, საბრძოლო ხელოვნებათა პოპულარიზაციისათვის. ვუსურვებ ორგანიზატორებს ტურნირის წარმატებით ჩატარებას.

*საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი*

*გოკა გაბაშვილი*





## სულით და ხორცით მებრძოლნო!

მჯერა, რომ ეს ტურნირი, ამგვარ ღონისძიებათა შორის ერთ-ერთი ღირსეულია! ეს კი იმის წინა პირობაა, რომ საბრძოლო ხელოვნებაში მოვარჯიშეთა ისედაც მრავალრიცხოვანი რიგები, კიდევ უფრო გაიზრდება.

უნდა აღინიშნოს, რომ საბრძოლო ხელოვნებათა საკოორდინაციო საბჭოს და კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის წევრ ორგანიზაციათა ძალისხმევით, საქართველოში ორთაბრძოლების განვითარების, მისი პოპულარიზაციისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისთვის ყველაფერს აკეთებს. მათი დევიზია: ქუჩიდან სპორტულ დარბაზებში და სტადიონებზე! დაუნდობელი ბრძოლა ნარკომანიას და არასრულწლოვანთა დანაშაულობას!

*საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი*

*კახა ბასილია*

## ძვირფასო სპორტსმენებო

მოგესალმებით ფოთის, ფოთელებისა და ყველა იმ ადამიანის სახელით, ვისაც სპორტი უყვარს! სპორტი, ერისა და ქვეყნისთვის ერთ-ერთი უმთავრესი და დასაყრდენი სფეროა, რომელიც ჯანმრთელ მომავალს უზრდის. მწამს, რომ საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია სწორედ ერთ-ერთი ასეთი ბურჯია ჩვენი ქვეყნისთვის.

წარმატებას გისურვებთ, ტურნირის მონაწილეებო!

*ქალაქ ფოთის მერი*

*ვახტანგ ალანია*



# „ფოთი 2004"-ში მონაწილეობის პირობები

***ორგანიზატორები:***

— საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

— საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა საკოორდინაციო საბჭო

— ქალაქ ფოთის კარატე-დოს ფედერაცია

— ქალაქ ფოთის მერია

***შეჯიბრების მიზანი და ამოცანები:***

— კარატე-დოს განვითარება და პოპულარიზაცია საქართველოში

— მონაწილე სპორტსმენთა და მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლება

— სხვადასხვა ქვეყნების ინსტრუქტორების, სპორტსმენების და მსაჯებს შორის ურთიერთობების გაღრმავება

— საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ნაკრები დაკომპლექტდება ამ ტურნირში გამარჯვებული სპორტსმენებით, რომლებიც 18, 19, 20, ივნისს მსოფლიო თასის გათამაშებაზე იასპარეზებენ ესპანეთში (ბარსელონაში).

— განაცხადს ტან უნდა ერთვოდეს „ბუდო" პასპორტი, ან დაბადების მოწმობის დედანი, ინსტრუქტორის ხელმოწერა და ექიმის ვიზა;

— შეჯიბრებაში მონაწილე სპორტსმენების აუცილებელი პირობა: თეთრი ფერის კიმონო, კენტუსები, საზარდულის საცავი ნიჟარა და კაპა;

— შეჯიბრება ჩატარდება კატასა და კუმიტეში, ვაჟებში და გოგონებში, მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის წესების მიხედვით;

— შეჯიბრში მონაწილეთა ასაკი: 8-9; 10-11; 12-13; 14-15; 16-17; 18. (-65 კგ; -70 კგ; -75 კგ; 80 კგ; პლიუს 80 კგ;). კატაში მონაწილეთა ასაკი: 8-13 წელი; 14 წელი და ზევით.

***დაჯილდოვება:***

გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან დიპლომებით, მედლებით და ფასიანი საჩუქრებით.

შეჯიბრში მონაწილეობა უფასოა და შეზღუდულია.

***ჩემპიონატის ჩატარების დრო და ადგილი:***

2004 წელი, 12-13 ივნისი. ქალაქი ფოთი, 9 აპრილის ხეივანი, სპორტული დარბაზი.

***შეჯიბრებაში მონაწილეობის პირობები:***

**— შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი ქვეყნის ნაკრები გუნდები: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი.**

— შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადი უნდა წარადგინონ 2004 წლის 10 ივნისამდე საქართველოს კარატე-დოს ფედერაციის ცენტრალურ ოფისში:

**დიმიტრი უზნაძის №6, ტელეფონი: 96-31-89.**







## ჩვენი მოწოდება ჩემპიონატის მონაწილეთა მიმართ



როგორი რთულიც არ უნდა იყოს მიზნამდე მისაღწევი გზა, ყოველთვის იარსებებს ნებისმიერი წინააღმდეგობის გადალახვის საშუალება!

მოწინააღმდეგე არის იმისთვის, რომ შეამოწმო საკუთარი თავდადება, შეუპოვრობა და გადაწყვეტილების მიღების უნარი. მოწინააღმდეგე გაიძულებს იბრძოლო იბრძოლო ამ ოცნების განსახორციელებლად! — ბრძოლაში მიღებული გამოცდილება ხვეწს შენს სულს!

როდესაც საბოლოოდ მიიღებ დაგანწყვეტილებას, უყოყმანოდ იმოქმედე! — თუ იგი სწორია, აუცილებლად გაიმარჯვებ, ხოლო თო არასწორად განსჯი — დამარცხდები და მოგიწევს ყველაფრის თავიდან დაწყება — ოღონდ მწარე გამოცდილებით შეიარაღებულს! — ჭეშმარიტი მებრძოლი, ერთხელ ნაბიჯგადადგმული, ღირსეულად მიდის ბოლომდე!

ბედისწერა გიგზავნის სიტუაციათა განმეორებას ერთადერთი მიზნისთვის — ისწავლო ის, რაც მანამდე არ გინდოდა გესწავლა უცბად!

***ნუგზარ ჭიაბერაშვილი საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი***

# საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს. ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის სათანადო საერთაშორისო სერთიფიკატების გაცემით. ახორციელებს ინსტრუქტორთა და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით.

ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

მათ, ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:

თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6. ტელ/ფაქსი: 96-31-89. WWW.karate.ge

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცდიის ცენტრალური ოფისი

空手道

**მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ფედერაციის პრესცენტრის მიერ**

# დრო არ ჩერდება

საქართველოს XVI ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი გვერდიდან

ზოგიერთი შინ მოძებნის უკეთეს ნავსაყუდელს. კლუბების უმრავლესობა ხეირიანად არც კი დაისვენებს და XVI ეროვნული პირველობისთვის მზადებას შეუდგება. განსაკუთრებით ეს ევრო თასებზე მოასპარეზე ქართულ ოთხეულს ეხება. ქვეყნის ახალი ჩემპიონი თბილისის ,,ვიტ ჯორჯია'' თავისი ისტორიის ახალ ფურცელს სავარაუდოდ, 19 ან 26 ივნისს გადაშლის. გუნდი გერმანულ ან ავსტრიულ შეკრებაზე გაემგზავრება და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზადებაც აქედან დაიწყება. კლუბის თავკაცთა დევიზი სტაბილურობაა და ჩემპიონთა რიგებში რადიკალური ცვლილებები არ მოხდება. ეროვნული პირველობის ვერცხლის პრიზიორი ბოლნისის ,,სიონი'' კი გულშემატკივართა უხამსობამ შეიძლება, საერთოდ, დაშალოს. გუნდს ევრო თასებზე ასპარეზობის უფლება სფფ-მ უკვე ჩამოართვა. ფეხბურთელები კი სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილების მოლოდინში არიან და ეს სანქციებიც გუნდს უმძიმეს ტვირთად დააწვება. სამწუხარო ფაქტია, ქართულ ფეხბურთს ერთი კოლორიტული კლუბის დაკარგვა არაფერს არგებს, მაგრამ ვანდალიზმზე თვალის დახუჭვამ და წაყრუებამ შეიძლება უმართავ ქაოსში ჩაგვითრიოს, რომლის დარეგულირება მერე ყველას გაუჭირდება. ამიტომ დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს, სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს, რათა მსგავსი რამ მომავალში აღარ განმეორდეს და გაკვეთილად გამოადგეს ჩინიანსაც და უჩინოსაც, ფეხბურთელსაც და მწვრთნელსაც. ჩვენ კი, მაინც იმედი დავიტოვოთ, რომ, რაც უნდა მკაცრი იყოს სასჯელი, სწორი დასკვნების გამოტანის შემდეგ, ბოლნისში ისევ იქნება ფეხბურთი. თუმცა შიდა ქართლი ევროპული ფეხბურთის გარეშე მაინც არ დარჩება. ბოლნისელებს გორელები ჩაენაცვლებიან... ამაზე ქვემოთ ვილაპარაკოთ. რაც შეეხება უეფას თასს, იქ საქართველოს დედაქალაქი ორი გუნდით იქნება წარმოდგენილი. თბილისის ,,დინამოს'' ,,თბილისი'' შეუამხანაგდება, რომელმაც თავდაპირველად ინტერტოტოს თასზე ასპარეზობა ისურვა, ახლა კი პრესტიჟულ ტურნირში ზედმეტი მანძილის გაუვლელად ჩაებმება.

დიდი გეგმები აქვს ექსჩემპიონს. ,,დინამოს'' სერიოზული საახალსეზონო მზადება 22 ივნისიდან დაეწყება. გუნდი გაკვალულ გზას დაადგება და გერმანულ საწვრთნელ ბაზას, რუიტს მიადგება. კლუბი საგრძნობლად გადახალისდება. გუნდი დატოვეს გვარამაძემ, კარლოსმა და სილაგაძემ, მათ მაგიერ კი დინამოელთა რიგებს შეავსებენ: ყაზახეთში მოთამაშე მეკარე დავით ლორია, რკინიგზელები: მეკარე ზურაბ მამალაძე და მცველი ლაშა სალუქვაძე, ,,სიონის'' ფეხბურთელები, თავდამსხმელი ბორის გონჩაროვი და მცველები დავით ბაქრაძე და დავით ქიქველიშვილი. გეგუჩაძეს განზრახული აქვს გერმანულ შეკრებაზე წაიყვანოს ,,თბილისის'' ნახევარმცველები გოჩა ხოჯავა, ზაალ ელიავა და გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე, სპარტაკელი კობა შალამბერიძე, გიორგი კიკნაძე, კახა ალადაშვილი, ჩამოთვლილ ფეხბურთელებთან კონტრაქტები ნაუცბადევად არ გაფორმდება, ყველაფერი საზღვარგარეთული შეკრების მერე გაირკვევა.

გორელებისაც ვთქვათ. ბოლნისელთა ჩაძირვამ ევრო სარბიელზე გორის ,,დილა'' ამოატივტივა. გორელებმა შანსი ხელიდან არ გაუშვეს და შინაურ და საგარეო საფეხბურთო ინსტანციებში უსტარი აფრინეს, ინტერტოტოზე ვითამაშებთო. ,,დილამ'' სწორედ ,,ლოკომოტივი'' შეცვალა, რადგან რკინიგზელებმა წლეულს, აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. ,,დილას'' პირველი მეტოქე ბულგარეთის ჩემპიონატის მეშვიდეადგილოსანი დუპნიცას ,,მარეკი'' იქნება. ბალკანეთის ქვეყნის მეშვიდე გუნდი ქართველებს პირველ მატჩში, 19 ან 20 ივნისს უმასპინძლებს, საპასუხო მატჩი კი, 26-27 ივნისს გაიმართება. მეორე რაუნდის პირველი და განმეორებითი შეხვედრები შესაბამისად 3-4 და 10-11 ივლისს ჩატარდება. პირველ რაუნდში წარმატების შემთხვევაში გორელთა შემდეგი მეტოქე ბელგიური ,,გენკი'' იქნება. თუ ,,დილამ'' ბელგიური ბარიერიც გადალახა, მერე უკვე, 17-24 ივლისს, გერმანულ გრანდთან დორტმუნდის ,,ბორუსიასთან'' ექნება საქმე. გეტყვით იმასაც, რომ ინტერტოტოს ნახევარფინალები 28 ივლისს და 4 აგვისტოს გაიმართება, ფინალები კი 10 და 24 აგვისტოს.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

Coca-Cola
გენერალური სპონსორი

## რეგლამენტი ახალი, 44 თამაში

XVI ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების ახალი სისტემა უკვე მსჯელობის საგანია. პროფესიული ფეხბურთის ლიგის მესვეურები უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდებთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ და არკვევენ, რამდენად მისაღებია მათთვის ის სიახლეები, რომლებიც ჯერ მხოლოდ პროექტის სახით არსებობს. უმაღლეს ლიგაში 2004-2005 წლების საფეხბურთო სეზონში თორმეტი კლუბი ოთხ წრედ იასპარეზებს, მატჩების რაოდენობა მკვეთრად გაიზრდება და სულ 264 შეხვედრა ჩატარდება. ტურების რაოდენობაც შესაბამისად, თორმეტით გაიზრდება. ლიგაში სამი დებიუტანტია: ,,ქობულეთი'', წყალტუბოს ,,სამგურალი'' და ,,რუსთავი''. ამ კლუბებს მომავალ სეზონში ელიტარულ ქართულ ლიგაში გარდა სპორტული პაექრობებისა, სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებაც მოუწევთ. ჩვეულებრივი ამბავია, ახალ სეზონს, ყველა იმედით და ადრე მიღწეულის გაუმჯობესებაზე ფიქრით იწყებს. გამონაკლისი, არც ზემოთ ნახსენები გუნდებია. უმაღლესი ლიგის თორმეტივე გუნდმა ლიცენზირების სტადიები უნდა გაიაროს. ასეთია უეფას მოთხოვნა. სხვა მხრივ ლიგიდან ლიგაში ალზევება, ჩამოქვეითებას აზრი დაეკარგება. ულიცენზიო კლუბი ვერსად ითამაშებს, ვერც შინ, ვერც გარეთ. ამიტომ ლიცენზირების ხუთივე კრიტერიუმი ყველამ უნდა შეასრულოს, რათა XVI ეროვნული ჩემპიონატი სპორტული თვალსაზრისით სრულყოფილი იყოს. მართალია, ყველა ერთნაირ პირობებში ვერ მოემზადება, მაგრამ უმჯობესია საქმეს მივხედოთ, რითაც ჩემპიონატს საფუძველიც გაუმყარდება, დაძაბულობა და ინტრიგაც არ მოაკლდება. ახალ სეზონში ქართული უმაღლესი თორმეტეული ჯერჯერობით, ასე გამოიყურება: ,,ვიტ ჯორჯია'' (თბილისი), ,,სიონი'' (ბოლნისი), დინამო (თბილისი), ,,თბილისი'', ,,ლოკომოტივი'' (თბილისი), ,,დილა'' (გორი), ,,ტორპედო'' (ქუთაისი), ,,კოლხეთი 1913'' (ფოთი), ,,დინამო'' (ბათუმი), ,,ქობულეთი'', ,,სამგურალი'' (წყალტუბო), ,,რუსთავი''.

გარკვეულ წილად შეიცვალა პირველი ლიგაც. ლიგაში გუნდების რაოდენობა იგივე დარჩა, თექვსმეტი, რადგან გათვალისწინებული ხუთის მაგივრად, რეგიონულ ლიგაში სამი ჩამოქვეითდა. სამტრედიულ ,,ლოკომოტივს'', ბათუმის ,,ლუკას'' და ზესტაფონის ,,მეტალურგს'' შეცვლის ბორჯომის ,,თორი'', თელავის ,,კახეთი'' და ქიათურის ,,მაღაროელი'', ლიგაში ადგილი შეინარჩუნეს თბილისის ,,ამერმა'' და ხაშურის ,,ივერიამ''. პირველი ლიგის გათამაშებაც წრიული სისტემით, ორ წრედ ჩატარდება. ნიშანდობლივია, რომ ქართული გუნდების უმეტესობა სამზადისს ადრევე შეუდგა. წინა სეზონი ხეირიანად არ დასრულებულა, ახალი კი კარს მოგვადგა. ფეხბურთი ჩაუქრობელი ცეცხლია, რომელსაც განელება არ უწერია.

## გაისად, ახალი სტადიონით

უეფას თასზე თამაშის უფლების მოპოვებამ საფეხბურთო კლუბ ,,თბილისის'' თავკაცებს მადა გაუღვიძა. კლუბის გაძლიერებასთან ერთად, ისინი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზეც ზრუნავენ და დასახული მიზნებისა და პროექტების განხორციელებასაც სწრაფი ტემპებით აპირებენ. გაისად, თბილისს კოპწია, ინგლისური ტიპის, სუფთა საფეხბურთო სტადიონი შეემატება. თანამედროვე არენის აშენება უკვე გადაწყვეტილია. დღევანდელი ,,ოლიმპის'' ადგილზე, ახალი 15 000-იანი სტადიონი აშენდება, რომელიც თანამედროვე სტანდარტებს სრულად უპასუხებს. ტრიბუნები მთლიანად გადაიხურება. უცხოურ საამშენებლო ფირმასთან მოლაპარაკებები დაწყებულია. პროექტის მშენებლობა სავარაუდოდ 3 მილიონი ამერიკული დოლარი ეღირება. ახალი სტადიონი გაისად აგვისტო-სექტემბერში ჩადგება მწყობრში. მანამდე ,,თბილისი'' უეფას თასის მატჩებს ,,ლოკომოტივზე'' გამართავს.

## ,,მეტალურგი'' მეტალისა გახდება

უსახსრობამ, ორ წელიწადში, ზესტაფონის ,,მეტალურგი'' რეგიონულ ლიგაში ჩამოაქვეითა. ისედაც გაჭირვებული გუნდი, სულაც უპერსპექტივოდ და უპატრონოდ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ხსნა, გამოჩნდა. ,,მეტალურგს'' მძლავრი პატრონი გამოუჩნდა. მომავალ სეზონში გუნდს ფეროშენადნობთა ქარხანა მიხედავს. ,,ფეროს'' მფლობელმა ავსტრიულმა ,,დეკომეტალმა'' კლუბის აშენების პროექტის განხორციელებაზე თანხმობა განაცხადა და რამდენიმე თვეში შეიძლება ქართულ ფეხბურთს წელში გამართული, ყოველმხრივ, სპორტულ, სტრუქტურულად დაწყობილ-დალაგებული გუნდი შეემატოს. კლუბის ახალი მესვეურების განმარტებით, ,,მეტალურგი'' საწვრთნელ შეკრებას 20 ივნისიდან დაიწყებს ახალი მწვრთნელის, მოლდავური ,,შერიფის'' ყოფილი თავკაცის, ვლადიმირ ზემლიანოვის ხელმძღვანელობით. ზესტაფონის სტადიონს რეკონსტრუქცია ჩაუტარდება, გაშენდება საწვრთნელი ბაზა, გუნდი ახალი ფეხბურთელებით შეივსება, რამდენიმე დღეში, ისიც გაირკვევა, სახეშეცვლილი და მოლონიერებული ,,მეტალურგი'' რეგიონულ ლიგას გაეცლება და ისევ პირველ ლიგაში დარჩება თუ სულაც უმაღლესში ალზევდება. ვივსებით და ვიცვლებითო, — ამათზეა ნათქვამი.

## ,,ლოკომოტივი'' ივნისში დაიძრება

შარშან, ნოემბრიდან დღემდე რკინიგზელთა საფეხბურთო გუნდში ბევრი რამ შეიცვალა. ,,ლოკომოტივი'' საუკეთესო ექვსეულში კი გავიდა, მაგრამ თავი არაფრით გამოუჩენია. გასული სეზონი გუნდმა უმოტივაციოდ ჩაამთავრა და ინტერტოტოზე თამაშიც იუარა. წლეულს, ახალი სეზონისთვის კლუბი, ალბათ ისევ გადახალისდება. ,,ლოკომოტივის'' დირექტორის ლევან ყიფიანის განმარტებით, ფაქტობრივად, გუნდი ახლიდან დაფუძნდება. კლუბიდან რამდენიმე ფეხბურთელი წავიდა — სალუქვაძე, ორბელაძე, ზირაქიშვილი და დათვაძე. ახლებს მთავარი მწვრთნელი ზაურ სვანაძე შეარჩევს. კლუბის მესვეურები ბერლინის ,,უნიონში'' განათხოვრებული დავით სირაძის დაბრუნებასაც ცდილობენ. რკინიგზელთა სამომავლო გეგმებს გუნდში მოსული ფეხბურთელების სათამაშო განსწავლულობა განსაზღვრავს. ახალი სეზონისთვის მზადებას ,,ლოკომოტივი'' 11 ივნისს დაიწყებს, 24 ივნისს კი ბულგარეთში ორკვირიან შეკრებაზე გაემგზავრება. ამ დროისთვის შეიძლება კლუბის სტრუქტურაც შეიცვალოს და დაიხვეწოს.

## ზაფხულიდან ევროპაში

**ქართული გუნდებიდან ევრო თასებზე ასპარეზობას პირველები გორელები დაიწყებენ. 19 ივნისს ბულგარეთს ეწვევა „დილა“ და ინტერტოტოს თასის გათამაშებაში ჩაებმება. თბილისური გუნდები ერთი თვე მოიცდიან და რანგით უფრო მაღალ ტურნირებში ჩაებმებიან. „ვიტჯორჯია“ ჩემპიონთა ლიგაში, „თბილისი“ და „დინამო“ უეფას თასზე. საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი გუნდების მეტოქეები ჯერ უცნობია, მაგრამ ცნობილია ორივე ტურნირის სრული განრიგი.**

### ჩემპიონთა ლიგა

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი — 14-21 ივლისი, მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი — 28 ივლისი — 4 აგვისტო, მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი — 10-11 — 24-25 აგვისტო, ჯგუფური ეტაპი სექტემბერში დაიწყება და ექვსი ტური ჩატარდება. I ტური — 14-15 სექტემბერი, II ტური — 28-29 სექტემბერი, III ტური 19-20 ოქტომბერი, IV ტური — 2-3 ნოემბერი, V ტური — 23-24 ნოემბერი, VI ტური — 7-8 დეკემბერი. გაისად ტურნირი მერვედფინალიდან განახლდება. მერვედფინალი 22-23 თებერვალი — 8-9 მარტი, მეოთხედფინალი 5-6 — 12-13 აპრილი, ნახევარფინალი — 26-27 აპრილი — 3-4 მაისი. ფინალურ მატჩს 2005 წლის 25 მაისს სტამბული უმასპინძლებს.

### უეფას თასი

15-29 ივლისს, პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები გაიმართება. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი 12-26 აგვისტოს ჩატარდება. პირველი რაუნდი — 16-30 სექტემბერს. ჯგუფურ ეტაპზე 21 ოქტომბრიდან 16 დეკემბრამდე ხუთი ტური ჩატარდება. გაისად, ტურნირი მეთექვსმეტედფინალიდან განახლდება.

მეთექვსმეტედფინალი — 16-17-24 თებერვალი, მერვედფინალი — 10-16-17 მარტი, მეოთხედფინალი — 7-14 აპრილი, ნახევარფინალი — 28 აპრილი — 5 მაისი. ფინალური მატჩი, ლისაბონში, 2005 წლის 18 მაისს ჩატარდება.

## რეგიონული ლიგა

**დასავლეთი XXVIII ტური**

დინამო (ზ) — იმედი 3-0
მეშახტე — დინამო (ქ) 3-0
რაჭა — სტაბი 2-0
ტორპედო2 — სალხინო 1-2
მაღაროელი — სქური 4-0
დინამო-2 (ბთ) — კოლხეთი (ხ) 1-1
კოლხეთი2 (ფ) — ოლიმპიკი 1-0
სულორი — ეგრისი 4-0

**აღმოსავლეთი XXVIII ტური**

თ.ს. აკადემია — ცხუმი 0-0
ნ. დინამო — კრწანისი (გადაიდო)
კახეთი — დინამო (სოხ) 2-1
ჰერეთი — თბილისი 0-2
სიონი 2 (ბოლ) — ავაზა 3-0
ნ. დინამო2 — ნ. დინამო3 (გადაიდო)
იბერია — ლოკომოტივი3 0-5

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| კახეთი | 26 | 22 | 2 | 2 | 70-20 | 68 |
| სიონი2(ბოლ) | 27 | 17 | 4 | 6 | 54-25 | 55 |
| ლოკომოტ-3 | 26 | 17 | 4 | 5 | 55-21 | 55 |
| ცხუმი | 26 | 13 | 6 | 7 | 48-26 | 45 |
| ნ. დინამო | 26 | 12 | 6 | 8 | 50-37 | 42 |
| თ.ს. აკადემია | 26 | 11 | 8 | 7 | 38-29 | 41 |
| ნ. დინამო-2 | 25 | 11 | 3 | 11 | 35-34 | 36 |
| კრწანისი | 25 | 11 | 2 | 12 | 57-53 | 35 |
| თბილისი | 26 | 9 | 7 | 10 | 44-40 | 34 |
| დინამო(სოხ) | 25 | 8 | 5 | 12 | 40-44 | 29 |
| ჰერეთი | 26 | 7 | 8 | 11 | 25-32 | 29 |
| ავაზა | 25 | 8 | 4 | 13 | 28-39 | 28 |
| ერთობა | 26 | 6 | 4 | 16 | 20-52 | 22 |
| ნ.დინამო-3 | 25 | 4 | 4 | 17 | 29-70 | 16 |
| იბერია | 26 | 2 | 1 | 23 | 23-87 | 7 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი | 28 | 21 | 6 | 1 | 80-21 | 69 |
| ოლიმპიკი | 28 | 18 | 5 | 5 | 42-13 | 59 |
| სტაბი | 28 | 16 | 4 | 8 | 46-31 | 52 |
| სქური | 28 | 15 | 5 | 8 | 46-30 | 50 |
| კოლხეთი (ხ) | 28 | 15 | 4 | 9 | 36-30 | 49 |
| მეშახტე | 28 | 13 | 9 | 6 | 40-30 | 48 |
| რაჭა | 28 | 12 | 10 | 6 | 56-39 | 46 |
| სალხინო | 28 | 12 | 3 | 13 | 32-40 | 39 |
| დინამო (ზ) | 28 | 11 | 5 | 12 | 49-53 | 38 |
| დინამო2(ბთ) | 28 | 10 | 6 | 12 | 30-32 | 36 |
| სულორი | 28 | 10 | 3 | 15 | 35-36 | 33 |
| იმედი | 28 | 8 | 8 | 12 | 28-40 | 32 |
| ტორპედო2(ქ) | 28 | 8 | 4 | 16 | 32-48 | 28 |
| კოლხეთი2(ფ) | 28 | 6 | 6 | 16 | 34-47 | 24 |
| ეგრისი | 28 | 5 | 1 | 22 | 25-76 | 16 |
| დინამო (ქ) | 28 | 2 | 5 | 21 | 19-70 | 11 |



## საშა კვარაცხელია

რამდენიმე თვის წინ „ლელოში“ დაიბეჭდა წერილი „წალენჯიხიდან... პარკ დე პრენსამდე“, რომელიც საშა კვარაცხელიას ეხებოდა. დიდ სამამულო ომში მოხალისედ წასული წალენჯიხელი ჭაბუკი ტყვედ ჩავარდა, საკონცენტრაციო ბანაკების მთელი საშინელება გაიარა, ემიგრანტი ქართველების დახმარებით ფეხბურთის გუნდში მოხვდა და ევროპის სტადიონებზეც ითამაშა. მერე მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდა და წალენჯიხის ფეხბურთს დიდი ამაგი დასდო.

დღეს, საშა კვარაცხელიას უკანასკნელ გზაზე გააცილებენ. ოთხმოც წელს გადაცილებულ მოხუცს სამუდამოდ მიიბარებს მშობლიური წალენჯიხის მიწა.

მამუკა კვარაცხელია

# ბავშვთა ფეხბურთი

## სლავა მეტრეველის გახსენება



1989-1990 წლიანებში პირველ ადგილზე გასული „ედელვაისი". მწვრთნელები თამაზ გურასპიშვილი და გია კიციშვილი (ფოტოები რობერტ ბაგოიანისა)



1993-1994 წლიანებში გამარჯვებული „ლომები". მწვრთნელი — ზურაბ ურდულაშვილი

გასული ვარდობის თვის მიწურულს, დაბადების 68 წელი შეუსრულდებოდა საუკუნის ლეგენდარულ ქართველ ფეხბურთელს, 60-იანი წლების თბილისის „დინამოსა" და ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრების მარჯვენა გარემარბს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ სლავა მეტრეველს. ეს თარიღი მხედველობიდან არც სამგორის რაიონის სპორტული კომპლექსის „ედელვაისის" ჭაბუკ ფეხბურთელთა სკოლის ხელმძღვანელებს გამორჩენიათ - ჭაბუკ ფეხბურთელთა ტურნირი გამართეს, რომელშიც 1989-90, 1991-92 და 1993-94 წლებში დაბადებული 32 გუნდის 320 მოზარდი მონაწილეობდა. ამასთან, ტურნირი „ედელვაისის" სკოლის ჩინებული მწვრთნელის თამაზ გურასპიშვილის დაბადების 50 წლის იუბილეს დაემთხვა.

1989-90 წლებში ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „ედელვაისის" და „არეალის" გუნდები. მატჩი „ედელვაისის" (მწვრთნელი გია კისიშვილი) ნორჩმა ფეხბურთელებმა მოიგეს, რომლებსაც სლავა მეტრეველის ხსოვნის თასი თამაზ გურასპიშვილმა გადასცა. საუკეთესო მეკარის პრიზი ერგო „ვაზისუბნის" გუნდის კიპერს ბექა სარჯველაძეს. საუკეთესო მცველის პრიზით დაჯილდოვდა მამედ შამოიანი („ედელვაისი"), საუკეთესო მოთამაშედ მიიჩნიეს ოთარ ეფაძე („არეალი").



სამივე ასაკის ედელვაისელები. 1991-92 წლიანებში და 1993-94 წლიანებში — II ადგილი, 1995-96 წლიანებში — I ადგილი. მწვრთნელები — ვანო და დათო ყაჭეიშვილები.

1991-92 წლიანებში „ტორომ" (მწვრთნელი თენგიზ კიკაჩეიშვილი) 1-0 მოუგო „ედელვაისს". საუკეთესო მცველის პრიზი გადაეცა ვაზისუბნელ გივი ჯღარკავას, საუკეთესო მოთამაშის - ვახტანგ ბუცხრიკიძეს („ედელვაისი"), ბომბარდირის - ბორის კუშიანს („ტორო"). 1993-1994 წლიანები „ედელვაისი" და „ლომები" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მატჩი 2-1 დასრულდა „ლომების" (მწვრთნელები ზურაბ ურდულაშვილი, თემურ კასრაძე) სასარგებლოდ. აქ საუკეთესო მეკარედ მიიჩნიეს ბექა ეძგვერაძე („ედელვაისი"), ნახევარმცველად - ნიკა ყარყარაშვილი („ლომები"), ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ - თბილისის 102-ე საშუალო სკოლის V კლასის ფრიადოსანი მოსწავლე ირაკლი ქირია („ლომები")., რომელსაც სლავა მეტრეველის სახელობის პრიზიც გადაეცა.

შალვა ქირია.



1991-92 წლიანებში მესამეადგილოსანი „სიონი". მწვრთნელი — კობა ინაძე

## „ვიტ ჯორჯია" ჭაბუკებშიც ჩემპიონია

ქვეყნის ჩემპიონობა, მით უფრო, თუ ეს წარმატება ფეხბურთშია მიღწეული, გამორჩეულად საპატიოა როგორც კლუბისთვის, ისე კონკრეტული გუნდისთვის და ფეხბურთელებისთვის. ჩემპიონობა იოლად არასოდეს მოდის. მხოლოდ მიზანმიმართული ორგანიზაციული საქმიანობა, თუ იგი სისტემადაა ჩამოყალიბებული, იძლევა სასურველ შედეგს. ასე მიაღწია „ვიტ ჯორჯიამ" ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატში წლეულს წარმატებას. დიახ, კლუბს გააჩნია დახვეწილი სისტემა, რომლის შემადგენელი ნაწილია ბავშვებთან მუშაობა, მაგრამ არა მხოლოდ მოვალეობის მოხდისთვის, როგორც აუცილებელი სალიცენზიო მოთხოვნისთვის, არამედ, გუნდისთვის. საიმედო რეზერვის ალსაზრდელად.

უმაღლესი ლიგის კლუბების ბავშვთა გუნდების საქართველოს პირველობის წლევანდელ გათამაშებაში 1987 წლიანთა შორის ასპარეზობის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე დაისაკუთრა პირველობა „ვიტ ჯორჯიას" ჭაბუკთა გუნდმა. ახლა ისინი ბოლო ტურის წინ, მთელი 10 ქულით უსწრებენ მეორე ადგილზე მყოფ თანატოლებს. თანაც, გატანილი აქვთ 65, მიღებული — 19 ბურთი. საგულისხმოა, რომ ყველაზე მეტი ბურთი ჭაბუკ ვიტელთაგან ნახევარმცველ შოთა უშურაულის წილად მოდის — 14.

„ამ ბავშვების 80 პროცენტს 8 წელიწადია მე ვამზადებ, გუნდს დამატებულებიც კარგად მოერგნენ, ირაკლი კლიმიაშვილი, მაგალითად, ერთი წლით უმცროსია, მაგრამ ეს მას არ უქმნის პრ. ბლემას. მადლობა კლუბის პრეზიდენტს გურამ რუხაძეს თანადგომა — ზრუნვისთვის, მადლობა დათო სამუშიას, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩვენი გუნდის შექმნაში. მადლობა მეორე მწვრთნელს ლევან ხელაშვილს. რაღა თქმა უნდა, ქებას და მადლობას იმსახურებს გუნდის თითოეული წევრი, რაც ოფიციალურად გამოვთქვი კიდეც" — გვითხრა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ზურაბ ნადარეიშვილმა.

კარგია, როცა ჩემპიონებს, მათ კვალში ჩამდგარი ჭაბუკებიც ჩემპიონები ჰყავთ. „ვიტ ჯორჯიას" ნამდვილად ნიჭიერი ცვლა ეზრდება.

ც. ბაქრაძე



„ვიტ-ჯორჯია". 1987-წლიანთა გუნდი. მარცხნიდან. I რიგში: გიორგი აბულაძე, რატი ხოსრუაშვილი, თენგიზ გულბიანი, ედგარ კაზარიანი, ირაკლი კლიმიაშვილი, ბესო კეჩხუაშვილი, ბონდო ცაგურიშვილი, II რიგში: ზურაბ ნადარეიშვილი (უფროსი მწვრთნელი), ირაკლი სულაბერიძე, სერგო ნადარეიშვილი, მათე შარია, ლაშა შაიშმელაშვილი, შოთა უშარაული, გიორგი კვალინაძე, ვალიკო ტყემალაძე, გელა ფერაძე, მამუკა მენთესაშვილი, ლევან ხელაშვილი, (მეორე მწვრთნელი).



1991-92 წლიანებში გამარჯვებული „ტორო". მწვრთნელი — თენგიზ კიკაჩეიშვილი

თუ სხვაგან ვერ მოახერხეთ „ლელოს" შეძენა, ნებისმიერ დროს შეგიძლიათ მოიკითხოთ გამომცემლობა „სამშობლოს" (კოსტავას ქ.14) წინ, გამავრცელებელთან.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ფერნანდო მორიენტესი: „ყოველთვის მზად ვარ, ღირსეულად დავიცვა ესპანეთის ნაკრების ღირსება“

**საფრანგეთის საფეხბურთო კლუბ „მონაკოს“ წარმატებაში 2003-2004 წლების სეზონში დიდი წვლილი მიუძღვის ესპანელ ფორვარდს ფერნანდო მორიენტესს, რომელიც ამ გუნდში არენდით იყო გაცემული მადრიდის „რეალის“ მიერ. ახლა თავად ფეხბურთელმაც არ იცის, მომავალ სეზონში დარჩება „მონაკოს“ შემადგენლობაში თუ ისევ „სამეფო კლუბს“ დაუბრუნდება. ისე, მისმა ბრწყინვალე თამაშმა აშკარად დიდი გამოხმაურება ჰპოვა საზღვარგარეთულ პრესაში. მორიენტესი მწვრთნელმა ინიაკი საესმა ესპანეთის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში შეიყვანა და მისი დიდი იმედი აქვს ევროპის ჩემპიონატზე. გთავაზობთ ფერნანდო მორიენტესის მიერ „სპორტ-ექსპრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუს.**



● ***თქვენთვის „ფრანგული სეზონი“ მეტად წარმატებული გამოდგა...***

— გამოგიტყდებით, მეტად კმაყოფილი ვარ ჩემი თამაშით მიმდინარე წელს. ამ სეზონის დასაწყისში ისეთი სიტუაცია შემექმნა, რომ არჩევანის წინაშე დავდექი, — ან „რეალის“ სათადარიგოთა სკამზე უნდა ვმჯდარიყავი, ან სხვა გუნდში უნდა წავსულიყავი. გადავწყვიტე მეთამაშა ფეხბურთი და სწორი მიმართულებაც ავირჩიე.

● ***ვინმეს რომ ეთქვა თქვენთვის სეზონის დასაწყისში, — „მონაკო“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავაო, — დაიჯერებდით?***

— რა თქმა უნდა, ფავორიტებად არ გვთვლიდნენ. ჩვენ ფინალამდე უძნელესი გზა გავიარეთ. ვცხოვრობდით და ვიბრძოდით მატჩიდან მატჩამდე. თანდათან ვარწმუნებდით ყველას ჩვენს სიძლიერეში, — ფლეი-ოფებში გამოვთიშეთ ევროპის გრანდები: „რეალი“, „ჩელსი“...

● ***ფინალში „პორტუსთან“ თამაში ვერ გამოგივიდათ...***

— 0-3 დამარცხება პორტუგალიის ჩემპიონთან დიდი იმედგაცრუება იყო. ამას არავინ ელოდა. მატჩის მიმდინარეობისას ძალიან ვღელავდი. ეს უკვე წარსულია. ახლა მე ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში ვვარჯიშობ და მოუთმენლად ველი ევროპის ჩემპიონატის დაწყებას.

● ***ესპანელი ფეხბურთელები იშვიათად მიდიან საზღვარგარეთის გუნდებში სათამაშოდ და თუ ეს ხდება, მაშინ მათ ნაკრებში აღარ იწვევენ. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მენდიეტა და რეიესი. მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელმა ლონდონის „არსენალთან“ ერთად ინგლისის პრემიერლიგა მოიგო, საესმა მაინც არ მიიწვია ესპანეთის ნაკრებში. თქვენ გამონაკლისი ხართ.***

— როცა საფრანგეთის ჩემპიონატში ჩავები, პირველივე მატჩიდან ვიგრძენი, რომ ამ პირველობამ ბოლო წლებში დიდი პროგრესი განიცადა და დღეისათვის ერთ-ერთი უძლიერესია. ამასთან ერთად მთელი სეზონის განმავლობაში თავი არ დამიზოგავს საერთაშორისო მატჩებშიც და საესმა ეს მიიღო, ალბათ, მხედველობაში.

● ***ფიქრობთ თუ არა, რომ საესის გუნდს ბევრის მიღწევა შეუძლია?***

— რა თქმა უნდა. ჩვენ ბევრი ვარსკვლავი გვყავს და ორგანიზებული თამაში გვახასიათებს. ვიმედოვნებ, რომ ევროპის ჩემპიონატზე წარმატებას მივაღწევთ. ბევრი რამ მსაჯების ობიექტურობაზეცაა დამოკიდებული. ორი წლის წინ მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში, სამხრეთკორეელებთან მატჩში ჩვენს მიერ გატანილი ორი „სუფთა“ გოლი რომ ჩაეთვალათ, საქმე პენალტებამდე აღარ მივიდოდა და შინ ოქროს მედლებით დავბრუნდებოდით.

● ***12 ივნისს დანიშნულ პირველ მატჩში რუსეთის ნაკრებს ეთამაშებით. ალბათ, მოედანზე ესპანეთის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში იქნებით...***

— ეს შეკითხვა უმჯობესია მწვრთნელს — ინიაკი საესს დაუსვათ. მე კი მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ყოველთვის მზად ვარ, ღირსეულად დავიცვა ესპანეთის ნაკრების ღირსება.

● ***ახლა თქვენს მომავალზე ვისაუბროთ. „მონაკოში“ არენდით იყავით გაცემული მადრიდის „რეალის“ მიერ. დარჩებით ფრანგულ კლუბში?***

— არა. მე უკვე დავტოვე მისი რიგები.

● ***სად გააგრძელებთ კარიერას?***

— ჯერჯერობით , — მადრიდის „რეალში“, ვინაიდან ამ გუნდთან 2006 წლამდე მაქვს კონტრაქტი.

● ***როგორც შევიტყვეთ. რამდენიმე კლუბი გეპატიჟებათ...***

— ასეთ წინადადებებს ჩემი აგენტი სწავლობს. ჯერჯერობით, სხვა ვარიანტებზე საუბარს თავს ვარიდებ, ვინაიდან ჩემთვის ახლა მთავარი საფიქრალი ევროპის ჩემპიონატია.

● ***ესაუბრეთ თუ არა პირისპირ მადრიდის „რეალის“ ახალ მთავარ მწვრთნელს ხოსე ანტონიო კამაჩოს?***

— არა. ისიც კი არ ვიცი, ვჭირდები თუ არა მას გუნდში მომავალი სეზონისათვის.

● ***თითქმის 6 წლის განმავლობაში თამაშობდით მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში და 100-ზე მეტი გოლი გაიტანეთ. თქვენთვის უხერხული ხომ არ არის ის, რომ ჯერაც არ იცით დანამდვილებით, ითამაშებთ თუ არა ამ გუნდში 2004-2005 წლების სეზონში?***

— რას ვიზამთ? ასეთია ფეხბურთელის ცხოვრება. თუმცა, საწყენი არაფერია. მე ყოველთვის ვცდილობ, მაქსიმალურად დავიხარჯო მოედანზე.

● ***რას გრძნობდით, როცა წელს ჩემპიონთა ლიგიდან თქვენს მიერ გატანილი გოლების წყალობით „რეალი“ გავარდა?***

— განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩის შემდეგ როცა „მონაკომ“ გაიმარჯვა და ნახევარფინალის საგზური მოიპოვა, ჟურნალისტებმა, სწორედ ასეთი შეკითხვა დამისვეს და მეც ვუპასუხე, რომ მხოლოდ გამარჯვების სიხარულს ვგრძნობდი და არა რევანშისტულ გრძნობას. ჩემი მოვალეობაა იმ კლუბის ღირსების დაცვა, რომელშიც ვთამაშობ და რა მნიშვნელობა აქვს, რომელ მეტოქეს გავუტან გოლებს. მოედანზე ხომ გოლების გასატანად გამოვდივარ.

**P.S. სარწმუნო წყაროების ცნობით, მორიენტესის ბედი 11 ივნისს გადაწყდება, — ამ დღეს „რეალის“ პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება. ამ ეტაპზე, კლუბის ამჟამინდელ პრეზიდენტს ფლორენტინო პერესს მიზნად დაუსახავს ზაფხულის პერიოდში მორიენტესის გაყიდვა 25 მილიონ ევროდ. თვით ფორვარდსაც არ სურს რონალდოსთან ერთ გუნდში თამაში. საქმე ის არის, რომ ბრაზილიელი ვარსკვლავის მოსვლის შემდეგ, მორიენტესმა დაჰკარგა ადგილი გუნდის ძირითად შემადგენლობაში...**

## ევროპის საფეხბურთო გრანდთა გაერთიანებამ აბრამოვიჩს კარი მიუხურა

**ევროპის უმაღლესმა საფეხბურთო წრემ, ე.წ. „გ-14“-მა, რომელშიც კონტინენტის 18 უმდიდრესი კლუბია გაერთიანებული, თავის მორიგ სხდომაზე გადაწყვიტა, არ გაზარდოს თავისი რიგები, რითაც კარი მიუხურა რომან აბრამოვიჩის „ჩელსის“. ამ გადაწყვეტილების მოთავე მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობაა, რომელსაც აშკარად არ მოსწონს რუსი მილიარდერის განუსაზღვრელი ფინანსური საშუალებების გამოვლინება ევროპულ ფეხბურთში.. ნამდვილი მიზეზი, ალბათ ის არის, რომ „გ-14“-ის წევრებს აშინებთ ერთი რამ, — ადვილი შესაძლებელია, აბრამოვიჩმა ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ ხელთ იგდოს ძალაუფლება.**

შეგახსენებთ, რომ „გ-14“ დაარსდა 1998 წელს და მაშინ ევროპის წამყვანი 14 კლუბი გაერთიანდა. ორგანიზაციის შტაბბინა ბრიუსელშია და სხდომას ყველა კლუბის წარმომადგენელი ესწრება.

2002 წელს „გ-14“-ში კიდევ ოთხი კლუბი გაერთიანდა. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს, რომ მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება წევრთა რაოდენობა. ჯერჯერობით „გ-14“-ის „გეოგრაფია“ ასე გამოიყურება: იტალია („მილანი“, „ინტერი“, „იუვენტუსი“), ესპანეთი („რეალი“, „ბარსელონა“, „ვალენსია“), ინგლისი („ლივერპული“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „არსენალი“), გერმანია („ბაიერნი“, „დორტმუნდი“ „ლევერკუზენი“), საფრანგეთი („მარსელი“, „პსჟ“, „ლიონი“), ჰოლანდია („პსვ“, „აიაქსი“), პორტუგალია („პორტუ“).

ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების შანსი დღეისათვის კვლავ რჩებათ „ჩელსის“, „რომას“, „ლაციოს“, „პარმას“, „ჰერტას“, „სელტიკს“, „რეინჯერსს“, „ანდერლეხტსა“ და „ბენფიკას“.

„გ-14“-ის სტრუქტურა სააქციო საზოგადოებას მოგვაგონებს. ორგანიზაციის დამფუძნებელ კლუბებს 3-3 აქცია დაურიგდათ. ევროპის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულისათვის კიდევ ორი აქციაა დაწესებული, ხოლო უეფას თასის მფლობელისათვის — ერთი.

შექმნის დღიდან „გ-14“-ს დაძაბული ურთიერთობა აქვს ფიფასა და უეფასთან. ჯერ იყო და საკუთარი ტურნირის ჩატარებას აპირებდნენ, თუმცა, მალევე გადაიფიქრეს და ხელი მიჰყვეს სხვადასხვა საკითხებში შეწინააღმდეგებას უეფასა და ფიფას მიმართ. ასე მაგალითად, ამ გაზაფხულზე „გ-14“-მა მოითხოვა კომპენსაციის მიღება თავიანთი კლუბების მოთამაშეების ეროვნულ ნაკრებებში გაწვევის შემთხვევაში, უარი თქვეს მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობაზე და ა.შ. ზოგჯერ საქმე ულტიმატუმამდე მიდის... თუ ასე გაგრძელდა, არ არის გამორიცხული, „გ-14“-ის წევრებმა, საერთოდ, დატოვონ ფიფასა და უეფას რიგები, რის შემდეგაც, ალბათ, საფეხბურთო ქაოსი დაიწყება, — შეიქმნება ძლიერთა და დანარჩენთა ლიგები, ისე, როგორც დღეს ევროპულ კალათბურთში არსებობს.



## ინგლისელი, რომელსაც პრემიერლიგაში არასდროს უთამაშია...

**ევროპის ჩემპიონატისათვის ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში ემზადება ოუენ ჰარგრივზსი, რომელსაც პრემიერლიგაში... არასდროს უთამაშია. ოუენ ჰარგრივსს მამა ინგლისელი ჰყავს, დედა — უელსელი. თავად კი კანადაში დაიბადა და მაინც მამის სამშობლოს — ინგლისის ნაკრების ღირსებას იცავს. ჰარგრივსი საკლუბო დონეზე მიუნხენის „ბაიერნის“ საკუთრებაა. სწორედ ამ გერმანულ კლუბში აქტიური თამაშის წყალობით მიიწვია ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სვენ-გორან ერიქსონმა. გთავაზობთ ინტერვიუს ოუენ ჰარგრივსთან, რომელიც უეფას ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა.**



● ***გერმანიაში მოთამაშე, გრძნობთ თუ არა „საკუთარ კედლებში“ თავს ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში?***

— შესანიშნავი ატმოსფეროა, ინგლისის ნაკრებში, სადაც მაღალი კლასის ფეხბურთელები თამაშობენ.

● ***„ბაიერნში“ უფრო რთული სიტუაციაა?“***

— არა. უბრალოდ, მკაცრი დისციპლინა გერმანული ფეხბურთისთვისაა დამახასიათებელი. ინგლისის ნაკრებში, მატჩების წინ შეგიძლია მოუსმინო მუსიკას, მშვიდად იყო, ეხუმრო თანაგუნდელებს... გერმანიაში უკვე 6 წელია ვთამაშობ. ყოველი მატჩის წინ გუნდის ყველა წევრი სერიოზულადაა განწყობილი, გასახდელში სამარისებური სიჩუმეა. ზედმეტად სიტყვას ვერავის დააცდევინებ. მე კი ხუმრობა მჩვევია.

● ***ინგლისის ნაკრებში მუსიკას ვინ „უკმევთავს“?***

— დევიდ ბექჰემი არჩევს მუსიკალურ დისკს და ჩვენც ვენდობით მას, — ის ხომ გუნდის კაპიტანია.

● ***როგორ შეაფასებთ ინგლისის ამჟამინდელ ნაკრებს?***

— ვფიქრობ, გუნდი კარგ ფორმაშია. დაგვიბრუნდა სტივ ჯერარდი, კარგ ფორმაშია ბექჰემი. თუ რა შეგვიძლია, ამას ევროპის ჩემპიონატზე დავინახავთ.

● ***„ბაიერნში“ სხვადასხვა პოზიციებზე თამაში გიწევთ. უნივერსალობა თქვენი კოზირია?***

— რა თქმა უნდა, უნივერსალობა ცუდი არ არის, თუმცა, ჩემთვის უკეთესი იქნება, მომავალში, მხოლოდ ერთ პოზიაციაზე თამაში. სხვადასხვა ფუნქციების მოვალეობის შესრულების დროს, ფეხბურთელი ყოველთვის როდი მიაღწევს წარმატებას. ვფიქრობ, ჩემი ადგილი ნახევარდაცვაშია, სადაც თავს შედარებით უკეთ ვგრძნობ.

## სანტინიმ საფრანგეთის ნაკრები „ტოტენჰემში“ „გაცვალა“



ცნობილი გახდა, რომ ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შემდეგ საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჟაკ სანტინი სათავეში ჩაუდგება ინგლისის საფეხბურთო კლუბს — „ტოტენჰემს“. ახალ გუნდთან კონტრაქტს ჟაკმა 3 ივნისს მოაწერა ხელი.

„მე ყოველთვის ვოცნებობდი მეხელმძღვანელა დიდი ტრადიციების მქონე ინგლისის რომელიმე კლუბისათვის. ამიტომ, არ დავფიქრებულვარ, როცა „ტოტენჰემის“ ხელმძღვანელობისაგან მიწვევა მივიღე. შევეცდები, „ტოტენჰემი“ ინგლისის საფეხბურთო ელიტის კლუბად ვაქციო“, — განაცხადა, ჟაკ სანტინიმ. ერთობ უცნაურად გამოიყურება ის ფაქტი, რომ ჟაკ სანტინი არ დაელოდა ევროპის ჩემპიონატის დამთავრებას. საფრანგეთის ნაკრები, მოგეხსენებათ, ევროპის მოქმედი ჩემპიონია და კვლავაც მთავარ ფავორიტად ითვლება პორტუგალიაში. ხომ შეიძლება, ამ გუნდმა წარმატებას მიაღწიოს და სანტინისთან საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციას მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატამდე გაეგრძელებინა კონტრაქტი? სანტინის, ალბათ, სწამს, რომ ევროპის ჩემპიონი გახდება და სურს, გამარჯვებულის რანგში დატოვოს საფრანგეთის ნაკრები...

## პირველი „ბოკა ხუნიორსია“

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა ივნისის რეიტინგი კლუბებისათვის. საინტერესოა, რომ მეოთხე ადგილიდან პირველზე გადაინაცვლა არგენტინის „ბოკა ხუნიორსმა“, ხოლო ყოფილი ლიდერი — „მილანი“ ამჟამად მეორე საფეხურზეა.

რეიტინგში მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადეს ბრაზილიის „სან პაულუმ“ და ესპანეთის „ვალენსიამ“. რაც შეეხება მადრიდის „რეალს“, ამ უკანასკნელმა ერთბაშად ექვსი ადგილით ჩაინაცვლა ქვევით. გაგაცნობთ საუკეთესო 8 კლუბის რეიტინგს: 1. „ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) — 284, 2. „მილანი“ (იტალია) — 283, 3. „სან პაულუ“ (ბრაზილია) — 282, 4. „სელტიკი“ (შოტლანდია) — 281, 5. „სანტოსი“ (ბრაზილია) — 276, 6. „ვალენსია“ (ესპანეთი) — 272, 7. „პორტუ“ (პორტუგალია) — 269,5, 8. „რეალი“ (ესპანეთი) — 267.

## ბოლო წუთზე ხელიდან გაშვებული გამარჯვება

FIFA FUSSBALL-WELTMEISTERSCHAFT DEUTSCHLAND 2006

**მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის სამხრეთ ამერიკის შესარჩევ ზონაში მორიგი მატჩები გაიმართა. ერთპიროვნული ლიდერი ბრაზილიის ნაკრები ჩილეს გუნდთან გასვლით შეხვედრაში მე-15 წუთზე ლუის ფაბიანოს გოლით დაწინაურდა, თუმცა უკანასკნელ წამებზე საკუთარ კარში გოლი მიიღეს (თერთმეტმეტრიანით თავი გამოიჩინა ნავიამ) და მატჩიც ფრედ (1-1) დასრულდა.**

**ვერ იმარჯვეს არგენტინელებმაც, რომლებიც საკუთარ მოედანზე ფრეს დასჯერდნენ პარაგვაელებთან (0-0). სხვა მატჩები: პერუ – ვენესუელა 0-0, კოლუმბია – ურუგვაი 5-0.**

**სატურნირო ცხრილში 17 ქულით პირველ ადგილზე კვლავ ბრაზილიის ნაკრებია, რომელიც ოთხი ქულით უსწრებს ეკვადორის გუნდს.**

## ზაზა ჯანაშია „ბალტიკაში“ ითამაშებს

**ცნობილი გახდა, რომ ქართველი ლეგიონერი, მოსკოვის „ლოკომოტივის“ ყოფილი ფორვარდი ზაზა ჯანაშია კარიერას კალინინგრადის „ბალტიკაში“ გააგრძელებს. 28 წლის ფორვარდი კარგ სპორტულ ფორმაშია და მზად არის, კრიზისიდან გამოიყვანოს კალინინგრადის გუნდი, რომელსაც, სხვათა შორის, რუსეთის „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელის იური სიომინის ვაჟი – ანდრეი თავკაცობს.**

## „ევერტონის“ სპონსორები მელუდეები გახდნენ

ტაილანდურმა ლუდის წარმოების კომპანიამ „ჩეინ ბორმა“ საფეხბურთო კლუბ „ევერტონთან“ სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომლის თანახმადაც ინგლისური გუნდი 2,7 მილიონ დოლარს მიიღებს. სამაგიეროდ, ფეხბურთელების მაისურებზე ტაილანდური ლუდის რეკლამა გაჩნდება.

# ნბა



## „ლეიკერსმა“ ფინალური სერია მარცხით დაიწყო

ნბა-ს ფლეი-ოფის ფინალური სერიის პირველ მატჩში „ლეიკერსი“ საკუთარ მოედანზე დამარცხდა „დეტროიტთან“ 75:87. მასპინძლებს ვერ უშველა შაკილ ო'ნილისა და კობი ბრაიანტის შედეგიანმა თამაშმა, რომლებმაც შესაბამისად 34 და 22 ქულა შესძინეს „ლეიკერსს“. რაც შეეხება „დეტროიტს“, ამ გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო იყო ჩინსი ბილაპსი, რომელმაც 22 ქულა მოაგროვა.

## შაკილ ო'ნილი და კობი ბრაიანტი „ლეიკერსიდან“ მიდიან?

ნბა-ს კლუბ „ლეიკერსის“ მთავარმა მწვრთნელმა ფილ ჯექსონმა ჟურნალისტებთან საუბარში სენსაციური განცხადება გააკეთა იმის თაობაზე, რომ ფინალური მატჩის შემდეგ, მისი გუნდის შემადგენლობა შესაძლოა დატოვონ წამყვანმა მოთამაშეებმა შაკილ ო'ნილმა და კობი ბრაიანტმა. არ არის გამორიცხული, რომ მათ მიჰყვნენ „ლეიკერსის“ კიდევ ექვსი მოთამაშე და თვით მწვრთნელიც, რომელსაც უკვე უმთავრდება კონტრაქტი გუნდთან.

შაკილ ო'ნილი აცხადებს, რომ „ლეიკერსის“ შემადგენლობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში დარჩება, თუ მას კვლავ ფილ ჯექსონი უხელმძღვანელებს.

ფილ ჯექსონს 6-ჯერ აქვს მოგებული ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატი „ჩიკაგოსთან“ ერთად, სამჯერ კი ჩემპიონის ტიტული „ლეიკერსთან“ ერთად მოიპოვა. იმ შემთხვევაში, თუ წელსაც ჩემპიონი გახდება, გაიმეორებს ლეგენდარული, ნბა-ს 10-გზის გამარჯვებულის რედ აუერბახის რეკორდს.

„მე არაერთხელ მითქვამს, რომ ასეთი შემადგენლობით „ლეიკერსს“ აქვს ბოლო შანსი კიდევ ერთხელ გახდეს ნბა-ს ჩემპიონი. ვფიქრობ, ჩვენ დავამარცხებთ ფინალურ სერიაში „დეტროიტს“, — ამბობს ფილ ჯექსონი.

## ანასტასია მისკინა და გილერმო კორია - „როლან გაროსის“ გამარჯვებულები



საფრანგეთის ღია პირველობის ქალთა ფინალი რუსული გამოდგა: ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ ანასტასია მისკინა და ელენა დემენტიევა. ნახევარფინალში მისკინამ, მოგეხსენებათ, ტურნირიდან გამოთიშა ჯენიფერ კაპრიატი და ფინალს საკუთარ ძალებში დარწმუნებული შეხვდა. მან პირველი სეტი იოლად მოუგო დემენტიევას — 6:1. ეს უკანასკნელი შეეცადა სიტუაცია მეორე სეტში გამოესწორებინა, მაგრამ უამრავი შეცდომა დაუშვა და კვლავ დამარცხდა 2:6.

ამრიგად, ანასტასია მისკინამ პირველად თავის კარიერაში მოიგო საფრანგეთის ღია პირველობა. ის დემენტიევასთან მატჩის შემდეგ აღტაცებას ვერ მალავდა: „ვერ ვიჯერებ, რომ ასეთი რანგის შეჯიბრება მოვიგე. უზომოდ ბედნიერი ვარ“.



რაც შეეხება ვაჟთა ფინალს, არგენტინელმა გილერმო კორიამ პირველი ორი სეტი მოუგო თანამემამულე გაუდიოს 6:0, 6:3. ყველას ეგონა, რომ კორია, რომელიც ამ მატჩის დროს, რომ იტყვიან, კორტზე ბატონობდა, მესამე სეტშიც გაიმარჯვებდა იოლად, მაგრამ... გაუდიომ ნამდვილი სასწაული მოახდინა: მან მესამე და მეოთხე სეტშიც დაჯაბნა ფავორიტი. გამარჯვებულის ბედი მეხუთე სეტმა გადაწყვიტა. ფეხნატკენმა კორიამ ვერ შეძლო ძალების მობილიზება და გასტონ გაუდიო ჩემპიონი გახდა. საბოლოო ანგარიშია 0:6, 3:6, 6:4, 6:1, 8:6 გაუდიოს სასარგებლოდ.



## მსოფლიო ჩემპიონობა მეექვსე წონით კატეგორიაში

სახელგანთქმულმა მექსიკელმა მოკრივემ ოსკარ დე ლა ჰოიამ ვბო-ს ვერსიით საშუალო წონაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა გერმანელი ფელიქს შტურმის დამარცხებით. ამ გამარჯვებით ოსკარ დე ლა ჰოიამ უნიკალური რეკორდი დაამყარა, მან ჩემპიონობა 6 წონით (!) კატეგორიაში მოიპოვა. დე ლა ჰოია — შტურმის შეხვედრის საპრიზო ფონდი ერთობ სოლიდური იყო — 30 მილიონი დოლარი. საინტერესოა, რომ ამ ბრძოლამდე შტურმს 20 გამარჯვება ჰქონდა აქტივში პროფესიულ რინგზე და... არც ერთი დამარცხება. ამის მიუხედავად ოსკარ დე ლა ჰოია ღრმად იყო დარწმუნებული, რომ გერმანელი მოკრივის დამარცხება არ უნდა გასჭირვებოდა. მან მართლაც აქტიურად შეუტია თავიდანვე შტურმს, თუმცა ძლიერი დარტყმების მიყენება ვერ მოახერხა. გერმანელს ასეთ ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლის გამოცდილება არ ჰქონდა და ექვსი რაუნდის განმავლობაში იცავდა თავს. შემდეგ თანდათან გააქტიურდა და მეათე რაუნდში ერთი-ორი დარტყმაც აგემა მეტოქეს. შტურმი, რომელიც ოსკარ დე ლა ჰოიაზე ბევრად ახალგაზრდა და წონითაც მძიმე იყო, იმედოვნებდა, რომ მექსიკელს ძალა გამოელეოდა, მაგრამ... ბოლო მე-12 რაუნდისათვის ოსკარ დე ლა ჰოიამ ძალები შემოინახა. მან კიდევ ერთხელ დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ დიდი მოკრივეა. მექსიკელმა ბოლო რაუნდში ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა მეტოქეს. საბოლოოდ რეფერიმ ქულებით გამარჯვება და ჩემპიონის ტიტული მიაკუთვნა ოსკარ დე ლა ჰოიას, რომელიც რამდენიმე თვეში... კარიერის დასრულებას აპირებს. ის ახლა, თავისი უკანასკნელი ბრძოლისათვის ემზადება.



## ანტუანეტა სტეფანოვა მსოფლიო ჩემპიონია

ბულგარელი მოჭადრაკის ანტუანეტა სტეფანოვას გამარჯვებით დასრულდა ელისტაში ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი. შეგახსენებთ, რომ სტეფანოვამ ნახევარფინალში მსოფლიოს ექსჩემპიონი, ქართველი დიდოსტატი მაია ჩიბურდანიძე დაამარცხა. ფინალში ბულგარელის მეტოქე იყო რუსი ეკატერინა კოვალევსკაია.

ფიდეს წესებით, მოჭადრაკეებს ფინალში 4 პარტია უნდა ეთამაშათ, თუმცა, მხოლოდ სამი პარტია აღმოჩნდა საკმარისი, რათა მსოფლიო ჩემპიონის ვინაობა გარკვეულიყო. სტეფანოვამ კოვალევსკაია პირველ ორ პარტიაში დაამარცხა, ხოლო მესამე პარტია ყაიმით დასრულდა, რაც ბულგარელი მოჭადრაკისათვის სრულიად საკმარისი გამოდგა საბოლოო გამარჯვებისათვის (2,5:0,5).

## ტიგრან პეტროსიანის ნაკრები და დანარჩენი მსოფლიო

9-15 ივნისს მოსკოვში ჩატარდება ჭადრაკში მსოფლიოს მერვე ჩემპიონის ტიგრან პეტროსიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი მატჩი მსოფლიოს ნაკრებსა და „პეტროსიანის გუნდს“ შორის. ამ უკანასკნელის შემადგენლობაში ითამაშებს გარი კასპაროვი, უნგრელი პეტერ ლეკო, ბელარუსი, ამჟამად ისრაელის მოქალაქე ბორის გელფანდი, სომეხი მოჭადრაკეები: ვლადიმირ აკოფიანი, რაფაელ ვაჰანიანი და სმბატ ლპუტიანი. მსოფლიო ნაკრებში კი მიწვეულნი არიან ინდოელი ვიშვანათან ანანდი, ინგლისელი მაიკლ ადამსი, რუსი პეტრ სვიდლერი, ფრანგი ეტიენ ბაკრო, ესპანელი ფრანსისკო ვალიეხო და ჰოლანდიელი ლუკ ვან ველი. არ არის გამორიცხული, ხვალამდე გუნდების შემადგენლობებში მცირეოდენი ცვლილებები მოხდეს.

## რიდიკ ბოუ რინგზე ბრუნდება

წინა კვირაში ციხიდან გათავისუფლებულმა მსოფლიოს ექსჩემპიონმა სუპერმძიმე წონაში, მოკრივე რიდიკ ბოუმ კონტრაქტი გააფორმა ცნობილ მენეჯერებთან — ჯიმი ადამსთან და ჯიმი ლოუსონთან. ბოუ ემზადება პროფესიულ რინგზე დასაბრუნებლად. მან უკვე გაიარა სამედიცინო გამოკვლევა, რაც აუცილებელია მოკრივისათვის სპეციალური ლიცენზიის მისაღებად.

## ტიტულები გაინაწილეს...

ლას-ვეგასში, გასულ შაბათს პროფესიული კრივის „საღამო“ გაიმართა. მექსიკელმა ხოსე-ლუის კასტელიომ დაამარცხა რა ამერიკელი ხუან ლაზკანო, დაიბრუნა ვბც-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მსუბუქ წონაში. ეს ტიტული კასტილიომ ორი წლის წინ ფლოიდ მეიზევერთან დათმო.

ამერიკელმა ვერნო ფილიპსმა კი მეექვსე რაუნდში ნოკდაუნში გაგზავნა მექსიკელი კარლოს ბოხორკესი და იბფ-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი გახდა პირველ საშუალო წონაში.

## „უილიამსს“ საკუთარი ავტოდრომის აშენება სურს

„ფორმულა 1“-ის გუნდ „უილიამსის“ ხელმძღვანელობას სურს, იქონიოს საკუთარი ავტოდრომი, რაც მათი გუნდის პროგრესს კიდევ უფრო ხელს შეუწყობს. ამის მაგალითად „უილიამსის“ ხელმძღვანელობამ „ფერარი“ დაასახელა, რომელსაც ორი ავტოდრომი გააჩნია.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**8 ივნისი, სამშაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.** „სპორტის სამყარო“ (19.00), **იმედი.** „გოლი“ (11.30); ***НТВ плюс футбол.*** გავიხსენოთ განვლილი სეზონი“: „ბავარია“ — „ბაიერი“ (13.15), „რომა“ — „ლაციო“, პსვ — „აიაქსი“ (17.00), ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის (21.10, 23.40), „ფუტბოლ მუნდიალი“ (23.10), კალათბურთი. ნბა (4.10, 8.00); ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი ქალთა შორის (15.35), ჩოგბურთი. „როლან გაროსის“ საუკეთესო მატჩები (17.15), ბრძოლა წესების გარეშე (22.30); EUROSPORT. ფეხბურთი: უეფას ისტორიები (12.00, 12.30, 20.00), საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (14.00, 14.30), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ევრო-2004 (16.00), ჩოგბურთი. „ატრ“-ის სამეფო ტურნირი (17.00), ფეხბურთი: ევრო-2004-ის შთამომავლობა (21.00), „გოლი“ (1.45), ევროსპორტის ახალი ამბები (4.15).

**9 ივნისი, ოთხშაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.** „სპორტის სამყარო“ (19.00), **იმედი.** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია (15.15); ***НТВ плюс футбол.*** ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის (13.15, 17.30), „გავიხსენოთ განვლილი სეზონი“ (15.00, 20.00, 23.55), მოლდავეთის ჩემპიონატი: „შერიფი“ — „ნისტრუ“ (21.55), კალათბურთი. ნბა (4.00, 7.30); ***НТВ плюс спорт.*** ფრენბურთი. რუსეთი — გერმანია (11.45), „საუკუნის ათლეტები“. ნაწილი პირველი (13.10), ნაწილი მეორე (20.25), ბრძოლა წესების გარეშე (14.35), ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი ქალთა შორის (15.45), საცხენოსნო სპორტი. დოლები (16.15), ჩოგბურთი. „როლან გაროსი“. ქალთა ფინალი (17.15), კალათბურთი. ნბას ჩემპიონატი (22.00); EUROSPORT. ფეხბურთი. ევრო-2004-ის შთამომავლობა (11.30, 12.45, 3.15), ფეხბურთი. ახალგაზრდული გუნდების საერთაშორისო ტურნირი (13.45), მძლეოსნობა. ფედერაციის საერთაშორისო ასოციაციის სუპერ გრან-პრი (15.30), ჩოგბურთი. „ატრ“-ის სამეფო ტურნირი (17.00), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები (21.30), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (22.30, 22.45), საცხენოსნო სპორტი. ეროვნებათა თასი (23.45), სპორტი — ყოველკვირეული მიმოხილვა ოთხშაბათობით (2.45), ევროსპორტის ახალი ამბები (3.00, 4.15), ფეხბურთი: ევრო-2004-ის ჩემპიონთა შთამომავლობა (3.15), უეფას ისტორიები (3.45);

**10 ივნისი, ხუთშაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.** „სპორტის სამყარო“ (19.00), **იმედი.** „ესტაფეტა“ (23.00); ***НТВ плюс футбол.*** ლიბერტადორესის თასი (13.15, 18.55 — პირველი ნახევარფინალური მატჩი, 15.00, 23.25 — ნახევარფინალის მეორე მატჩი), მოლდავეთის ჩემპიონატი: „შერიფი“ — „ნისტრუ“ (17.00), უკრაინის ჩემპიონატი: „არსენალი“ — „დინამო“ (20.55, 1.10), კალათბურთი. ნბა (4.00, 10.00, 5.00, 8.00); ***НТВ плюс спорт.*** ფრენბურთი. რუსეთი — კუბა (11.45), „საუკუნის ათლეტები“. ნაწილი მეორე (13.15), ჩოგბურთი. „როლან გაროსი“. ვაჟები. ფინალი (17.15), ჭადრაკი. მატჩი: ტ. პეტროსიანის სახელობის გუნდი — მსოფლიო ნაკრები (23.35), „ატრ“-ის საჩოგბურთო მიმოხილვა (0.35), კალათბურთი. ნბა. ფინალის მესამე მატჩი (5.30); EUROSPORT. ფეხბურთი. პლანეტა-ევრო (11.30), საცხენოსნო სპორტი. ეროვნებათა თასი (12.00), ფეხბურთი: უეფას-ს ისტორიები (13.00, 13.30), ევროპის ჩემპიონატი-2004 (14.00), ევროპის ჩემპიონატის შთამომავლობა (15.30, 16.00), ჩოგბურთი. „ატრ“-ის სამეფო ტურნირი“ (17.00), ფეხბურთი: უეფას ისტორიები (20.00), ახალგაზრდული გუნდების ჩემპიონატი (21.00, 22.45), კრივი. პროფესიონალები (0.45), ევროსპორტის ახალი ამბები (2.15, 4.15), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (2.45, 3.45).




## კროსვორდი №45

**თარაზულად:** 3. საქართველოს ყოფილი ჩემპიონი, საკალათბურთო გუნდი, 7. ბავშვთა საფეხბურთო სკოლა თბილისში, 8. ქართველი ტანმოვარჯიშე ვაჟი, ოლიმპიური ჩემპიონი, 10. შვეიცარიის საფეხბ. კლუბი, 11. ქართული ფეხბურთის ლეგენდა, 13. ცნობილი ქართველი ძალოსანი, ოლიმპიური პრიზიორი, 14. წყალხტომაში მყარი სახტომი ბაქანი, 16. ქართული ხალხური სპორტული თამაში, 20. საფრანგეთის საფეხბ. კლუბი, 21. შოტლანდიის საფეხბ. კლუბი, 22. ცნობილი ვეტერანი, ბრაზილიელი ფეხბურთელი, 23. შეჯიბრების დასასრული, 24. ჩორთმავალი ცხენი.

**შვეულად:** 1. ღერძზე, ორძელზე ერთგვარი მოძრაობის შესრულება, 2. მოჭადრაკე ძაგნიძის სახელი, 3. თანამედროვე ქართველი კალათბურთელი, 4. საქართველოს საკალათბურთო გუნდი, 5. ცნობილი ინგლისელი ვეტერანი ფეხბურთელი ლე... 6. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორი, 7. სპორტნაწარმის ცნობილი ფირმა, 8. ერთგვარი სამაგიდო თამაში, 9. ოლიმპიური ბაზა აფხაზეთში, 11. ბანქოს ერთგვარი თამაში, 12. არენა, სარბიელი... 15. უნაგირზე ჩამოსაკიდი, 16. ამერიკელი მძლეოსანი, ბირთვის კვრაში 1964 ოლ ჩემპიონი, 17. ბელგიის საფეხბ. კლუბი, 18. ცნობილი შოტლანდიელი ვეტერანი ფეხბურთელი, ჯორჯ..., 19. ფეხბურთელი, რომელმაც თბილისის დინამოში ითამაშა მხოლოდ 1962 წელს (6 მატჩი).

**მოამზადა ნოდარ ჯაჯვაძემ**

### №44 კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. „ტიროლი“, 4. მადრიდი, 8. სპარტაკიადა, 9. ანრი, 11. ფიში, 13. „სულორი“, 14. ერა, 16. აუტი, 21. „ნიუკასლი“, 22. ისა, 23. „რეინჯერსი“, 24. ალი, 25. ლი.

**შვეულად:** 2. იაშინი, 3. ლიპი, 4. „მეტალურგი“, 5. დეკუ, 6. ისარი, 7. იტალია, 10. ინსი, 11. ფრე, 12. რაპირა, 15. რისკი, 17. ტუა, 18. აკვრა, 19. ფინტი, 20. ფრეი, 21. ნენე.

## საჭადრაკო ამოცანა

ი. შიფმანი
(1928 წ. I პრიზი)




შამათი 2 სვლაში

№44-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1. ლf8! 1..... მფ:c6 2. ლa8X, 1..... მფc4 2. ლc5X, 1.....მფ:e6 2. მc6X, 1..... მფe4 2. ლf5X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti-lelo@nm.ru